



იგორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№309 (368) 24-31 მარტი 2015

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრუნად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააქი შენიძა

მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია

დაიბეჭდა 2013 წელს გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“

– თქვენ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში მომავალი პრეზიდენტის როლის შესახებ ახალი ხედვით გამოხედვით და განაცხადით, რომ პრეზიდენტი უნდა დაევალებდებოდა, დაკავდეს ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის პრობლემით. ჩვენმა გაზეთმა მხარი დაუჭირა თქვენს იდეას, გამოითხა უამრავი ექსპერტი და ბევრი მათგანი დაეთანხმა საკითხის ამგვარად დასმას, თუმცა ამ შეთავაზებას ხელისუფლებისგან რეაგირება არ მოჰყოლია. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– თუ ხელისუფლებას სჭირდება ნომინალური პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური ვიზიტებით ევროპასა და ამერიკას ეწვევა და კულტურულ დონისიძებებში მიიღებს მონაწილეობას, მაშინ რეაქციის არქონა ჩემს შეთავაზებაზე გასაგებია. ასეთ თანამდებობას ჩვეულებრივ „სინამდვილეს“ უწოდებენ (კახეთში იტყვიან: „იგეთია, როგორც მკვდარზე ვენოკი“ – „იგორი“): ადამიანი ზის ხალხის კისერზე, იყენებს ყველა პრივილეგიას, სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით, ხოლო საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს მას არავინ სთხოვს. საქართველოში ასეთ თანამდებობაზე პრეტენდენტი ბევრია და მათგან ნაწილმა უკვე წარადგინა თავისი თავი, მაგრამ, თუ ამ თანამდებობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებლობით დატვირთვით და დაევალებენ, რომ ერთ-ერთ წელიწადში პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ ამ პოსტის დაკავების მსურველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდება. მე ვთვლი, რომ ქართველ ერს არ გააჩნია სურვილი და ფუფუნება, რომ ძვირადღირებული მალაქნილობის უსაქმური შეინახოს. ვთვლი, რომ ეს მალაქი რანგის პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული. შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის პერიოდში რუსეთთან, აფხაზეთთან, ოსებთან ურთიერთობების სფეროში არავითარი პოზიტიური ნაბიჯი არ გადადგმულა. პოლიტიკის ამ მიმართულებით მუშაობდნენ ყველაზე არაკომპეტენტური ჩინოვნიკები, რომლებიც პარტნიორებთან არანაირი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. ორივე ხელისუფალი ამ პრობლემების გადაწყვეტის მიმართ თავის აბსოლუტურ გულგრილობას იჩენდა. სააკაშვილმა კი ავგისტოს ავანტიურით პრობლემა სრულ ჩიხში შეიყვანა. ახალ ხელისუფლებას, რომელზეც არც სისხლია და არც დანაშაული მიუძღვის, აქვს მცირე შანსი, გამოიყვანოს შექმნილი ვითარება ჩიხიდან. ამისთვის საჭიროა პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ნება, პრეზიდენტის შესაბამისი ფუნქციებით დატვირთვა და ამ პოსტზე რუსული, ოსური და აფხაზური მხარეებისთვის მისაღები ადამიანის არჩევა. ეს აუცილებელია ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. ეს აუცილებელია იმისთვისაც, რომ ივანიშვილმა ერის ნდობა შეინარჩუნოს. საქმე ისაა, რომ ეკონომიკაში სწრაფი წარმატებები ვერ მოხდება, მიღწევათა შედარება ჯერ-ჯერობით ამ ხელისუფლების სასარგებლოდ ვერ იქნება, სულიერ-ზნეობრივ

სფეროშიც, როგორც უკვე ვისაუბრეთ, სერიოზული ძვრების იმედი არ უნდა გვქონდეს; ხმაურიანი სასამართლო პროცესების მეშვეობით შესაძლებელია ხელისუფლების რეინტეგრის შენარჩუნება, მაგრამ დიდი ხნით – არა. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ნდობის შესანარჩუნებლად პოზიტიურ შედეგებს უნდა მიადწიოს იმ მიმართულებით, რომელშიც წინა ხელისუფლებამ სრული კრაზი განიცადა. ეს მიმართულებაა რუსეთთან, აფხაზეთთან და ოსებთან ურთიერთობები.

– გამოითქვა მოსაზრება, რომ პრეზიდენტად ეთნიკური აფხაზი აგვერჩია. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მან განიხილა ეს წინადადება. როგორია თქვენი აზრი?

– ის ფაქტი, რომ ეს წინადადება სერიოზულად განიხილებოდა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ, მიგვიტოვებს, რომ ხელისუფლებას საერთოდ არ ესმის რეალური სიტუაცია როგორც აფხაზეთში, ისე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. პირველ რიგში, აფხაზის პრეზიდენტად არჩევა მხოლოდ იმტომ, რომ იგი აფხაზია, დამამცირებელია როგორც ამ ადამიანისთვის, ისე ქართული საზოგადოებისთვისაც. მეორეც, აფხაზი, რომელიც დღეს გახდება საქართველოს პრეზიდენტი, დაკარგავს ყველა კონტაქტს აფხაზურ საზოგადოებასთან, გახდება აფხაზეთში მიუღებელი ფიგურა.

საქართველოს პრეზიდენტი ქართველი უნდა იყოს, მაგრამ ქართველი, რომელიც სარგებლობს როგორც ქართული საზოგადოების, ისე აფხაზეთისა და ოსების ნდობით.

– აფხაზურ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა თქვენი აზრი თბილისში არსებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მნიშვნელობის შესახებ. შეუძლიათ თუ არა მათ რაიმე როლის შესრულება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზებაში?

– რა თქმა უნდა, არა. ვერანაირ დღეებით როლს ისინი ვერ ითამაშებენ იმ მიზეზით, რომ აფხაზური მხარე მათ არავითარ შემთხვევაში არ დაელაპარაკება. და არამხოლოდ იმტომ, რომ ბევრ მათგანს აფხაზეთში მომხდარ სისხლიან ტრაგედიაში ბრალი მიუძღვის. საქართველოში არის ხალხი, რომელსაც აქვს კარგი პირადი კონტაქტები აფხაზურ საზოგადოებასთან, აფხაზეთში ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი დაიკავებს ოფიციალურ თანამდებობას აფხაზეთის სტრუქტურებში თბილისში, მაშინვე ყველა კონტაქტი მასთან გაწყდება. ეს რეალობაა და იგი უნდა გავითვალისწინოთ. საერთოდ კი, რა თქმა უნდა, ამ სტრუქტურებს მომავალი არ გააჩნია.

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მსოფლიო პატრიარქის შეხვედრის შემდეგ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში შედგება ილია მეორეს ვიზიტი აფხაზეთში. რამდენად რეალურია ეს?

– ეს არარეალურია, არავითარი ვიზიტი არ იქნება. სამწუხაროდ, ჩვენი ეკლესია, ისევე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, ყოველთვის იგვიანებს თავისი ინიციატივებით, რითაც პრობლემას ჩიხში აქცევს. ასეთი ვიზიტი სხვა მეთოდებითა და სხვა ხალხის დახმარებით უნდა მომზადდეს. და ამ მიმართულებით მუშაობა არა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან,

არამედ აფხაზური საზოგადოების შიგნით უნდა ხდებოდეს.

– ვინ უნდა იმუშაოს? ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა დიდად არ განსხვავდება „ნაციონალების“ პოლიტიკისგან, რის გამოც საზოგადოებაში შეიმჩნევა უკიდურესი უკმაყოფილება როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე მთავრობის შემადგენლობის ხარისხით...

– დიახ, ბოლო 20 წლის მანძილზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში არ არიან ჭკვიანი, ერუდირებული, ეროვნული სულით გამსჭვალული პროფესიონალები. რამდენიმე წლის წინ რუსეთის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მითხრა: ვიცნობდი და ვიცნობ ბევრ უაღრესად განათლებულ, წარმოსადგე ქართველს – როგორც სუფთა ინტელექტუალებს, ისე ორგანიზატორ-



პრაქტიკოსებს; მითხარი ერთი, ვისგან ყალიბდება ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, თქვენი უმაღლესი ჩინოვნიკების კორპუსი, სად პოულობენ ასეთ გონებაშეზღუდულ და უფერულ ხალხს? მე ვუპასუხე, რომ, ჯერ ერთი, მათ შორის ცოტაა ქართველი, და მეორე, მათ პოულობენ და აწინაურებენ ამერიკელი კურატორები, ქართველი ხალხის აზრს და სურვილს ამ საქმეში არანაირად არ ითვალისწინებენ. ამასთან ერთად, უნდა ვაღიაროთ, რომ გარკვეული პროგრესი მაინც არის: თუ ადრე გვრცხვენოდა საჯარო პირების 95 პროცენტის გამო, დღეს ამ გრძობას 60-70 პროცენტის მიმართ განვიცდით. ვნახოთ, შეიძლება დროთა მანძილზე სიტუაცია უკეთესი გახდეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოების მოლოდინი ძალიან გადაჭარბებულია. ერს უნდა თვისობრივი ცვლილებები ყველაფერში, უპირველეს ყოვლისა, საკადრო პოლიტიკაში, და იგი უკვე იგივეებს, როგორი ხალხი იყო ხელმძღვანელობაში სულ ცოტა ხნის წინ. პრეზიდენტი წარადგინდა მორიგ 23-25 წლის ბიჭს ან გოგონას სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის პოსტზე, იტყოდა, რომ ეს „გამოცდილი“, „ძალიან ძლიერი პროფესიონალია“, ამ უწყების თანამშრომლები მას ტაშს უკრავდნენ, საზოგადოება კი დუმდა. გაიხსენეთ, რომ თბილისელებს მერად ჭიბბერაშვილი დაუნიშნეს და ქალაქის საზოგადოება მას „ბატონობით“ მიმართავდა; თავდაცვის მინისტრად კეზერაშვილი მუშაობდა და გენერლები მას სმენაზე ედგნენ. გაიხსენეთ სხვა მინისტრები, გუბერნატორები, მერები და მიაქციეთ ყურადღება: ეს ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც, დაკარგავენ თუ არა თანამდებობას, არარაობად იქცევიან. მათ არ გააჩნიათ არც შესაფერისი პიროვნული თვისებები, არც საზოგადოებაში საკმაო

ავტორიტეტი საიმისოდ, რომ თანამდებობის დაკარგვის შემდეგ დარჩნენ პატივსაცემ პიროვნებად ქვეყანაში ან ქალაქში. მათ ეს კარგად ესმოდათ, ამიტომაც ერთგულად ემსახურებოდნენ პატრონს და პარალელურად ცდილობდნენ, დაეკროვებინათ პირადი კაპიტალი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ უზრუნველად ცხოვრებისთვის. ზოგ ხელისუფალს ხელს აძლევს ასეთი, სრულიად მასზე დამოკიდებული ხალხი, მაგრამ ეს ხელისუფლებას ავტორიტეტს არ ჰმატებს და ბოლოსდაბოლოს რეჟიმის კრაზით მთავრდება.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილი კადრების შერჩევის ასეთივე პრინციპით ხელმძღვანელობს...

– შესაძლოა, მაგრამ მაინც მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგალითად, ადრე მე ვერ ვუპურობდი ტელევიზორს: მრცხვენოდა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიოდნენ. დღესაც ხშირად მიხდება უხერხულად გრძობა, მაგრამ, მცირე გამონაკლისის გარდა, არ მაწუხებს მწვავე სირცხვილის განცდა.

– და ვინაა ეს მცირე გამონაკლისი?

– მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრი. და საქმე ის არაა, რომ იგი არც ერთი პარამეტრით არ შეესაბამება სადღესოდ ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობას. გავიგე, როგორ განაცხადა მან, რომ მისთვის სტალინი და პიტლერი ერთნაირი ბოროტებაა. ასეთმა უეცრობამ, ასეთმა ცინიზმმა, აზროვნების ასეთმა დაბალმა დონემ, უბრალოდ, გამაოგნა! მან არამხოლოდ ისტორიის და ადამიანური მორალის საკითხებში სრული უმეცრება გამოავლინა, არამედ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაზე დამსახურებულ თაობას – დიდი სამამულო ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი თავხედური განცხადების შემდეგ მინისტრი თავის პოსტზე აღარ დარჩებოდა. მისი ადგილი არა მთავრობაში, არამედ იმ მიმუხნებს შორისაა, რომლებიც გორში სტალინის დაცემული ძეგლის ფონზე პოზირებდნენ. საოცარია, რომ ეს გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილია. მე ვიცნობდი მამამისს, მახსოვს, როგორ მოდიოდა ხოლმე დავით ჩხიკვიშვილთან და მოჰქონდა ახალი, სადღაც აღმოჩენილი მასალად სტალინზე, რომლებიც ამ უდიდესი პიროვნების გენიალურობას ამტკიცებდა. მე არ ვვლიდი მისი ქალიშვილისგან ასეთ უზრდელობას, უკულტურობასა და პრიმიტივიზმს.

– ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც ქართულ საზოგადოებას აწუხებს, უცხოელებზე მიწების გაყიდვაა. არსებობს მოსაზრება, რომ გაყიდვის მასშტაბები უკვე თავად ჩვენი ერის არსებობას ემუქრება.

– ეს სწორი მოსაზრებაა. თუ გახსოვთ, ყოველთვის გამოვლიოდი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგ, მომეხდა მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მახეში გაეხნენ, ვარწმუნებდი საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება დარბი გლეხისთვის ერთადერთი, მაგრამ მკვდარი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის „ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა“ და, „თუ ჩვენ ვეროპაში გვინდა“, უნდა ვიყოთ ასეთივე ცივილიზებული.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

სამეგრელოსა (ოღიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია

მასშობი ბაბრატონის ნაახრეში

ბედია – სიტყვის ასეთი განმარტება საფუძველს იძლევა, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ისტორიულ წყაროებში ტოპონიმ „ბედიის“ შესახებ დაცული ინფორმაცია, და საფუძვლიანი, ამასთანავე, აუცილებელი კორექტირება შევიტანოთ მოტივაციაში; ამდენად, შესაძლებელია ბედია ორგვარად გავიზოროთ. კერძოდ,

1. „ხატზე შესახებელი, ხატისთვის მიწინააღმდეგე ტყე ან მიწა“; და
2. „ჩადრმავებული ადგილი, ქვაბული, ტაფობი“.

ზუფუ. ლიხნის უწინდელ სახელწოდებად ზუფუა მიჩნეული, რაც, ვახუშტის ცნობით, იყო „მცირე ქალაქისაგან, სახელი და საყოფელი შარვაშიძეთა“ (ვახუშტი IV, 1973: 784); ხოლო მდ. ხიფსთას, როგორც ფიქრობენ, ზუფუს-წყალი რქმეფია. მდინარის სახელწოდება „ზუფუს-წყალი“ აღნიშნულია ლიხთ-იმერეთის 1737 წელს შედგენილ რუკაზეც.

გამოთქმულია მოსახრება, რომ ახალი ხიფსთის ძველი სახელწოდება ზუფუ, რაც თეთრწყალის სახელმთავეა ცნობილი, ქართველური წარმომავლობისაა, ვინაიდან პიდრონიმის ძირი ზუფუ/ზოფუ- მოგვეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში (ჩიქობავა 1997: 25, 276).

ც. ქირია ფიქრობდა, რომ დასავლეთ საქართველოში ზუფის სახელით ცნობილი დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი მომდინარეობს „ზუფუდან“ და რომ უნდა მეგრულში დღესაც შემორჩენილი სიტყვა მოზუფუნც ადიდებული მდინარის სწრაფ დინებაზე მიუთითებდეს. ამასთანავე, ზუფუ და ურზუმი გაუგებრი, ტყიანი ადგილის აღმნიშვნელია. მეკლევარი დასტავის, რომ ზუფუ უნდა დარქმეოდა მდინარისპირა, ტყიან ადგილს. მისივე თქმით, ამ სიტყვიდან უნდა მიგვედო ქალაქის სახელწოდება ზუგდიდი (ზუფუ-ზუბუ-ზუბდიდი-ზუგდიდი) (ქირია „მებრძოლი“, 79, 1963: 4).

ა. ქობალიას განმარტებით, ზუფუ, ზუფუ, ზუფუ? იგივეა, რაც „წითლად მღუარის; უხვად მდინარე; უხვი ნაწველი“ (ქობალია 2010: 311). იქვე მოცემულია ზუფუა სიტყვის შემდეგი განმარტება: „წითლად დუილი; უხვად მოსკლომა (წყლისა)“ (იქვე).

ამდენად, გამორიცხული არაა, რომ „ზუფუწყარი“ მიუთითებდეს მდინარის დინების თვისებასა და უხვდებულობაზე (ზუფუ „უხვად მდინარი“). როგორც ჩანს, თავდაპირველად „ზუფუდ“ იწოდებოდა მდინარე, რაც შემდეგ დასახლებული პუნქტის სახელად ქცეულა.

ილორი სოფელი და თემის ცენტრია ოჩამჩირის რაიონში, დალიძის მარცხენა მხარეს. აერთიანებს სოფლებს: სუკს, ზენს, ილორგანსა და ნავკალოუს. ილორი ზ. დ. 10 მ-ის სიმაღლეზეა და ოჩამჩირს 3 კმ აშორებს.

ჯუდიზე მიღანელი აღნიშნავს, რომ წმ. გიორგისადმი მიძღვნილ მთავარ დღესასწაულს უქმობენ ზღვასთან ახლოს მდებარე პატარა სოფელ ილორში, 21 ნოემბერს. სოფელში აქაიკ გაფანტული ოც-დაათამდე სახლი და წმ. გიორგის სახელზე აშენებული ვერცხლისკარებიანი, დიდი თავანისცემის სიმბოლად ქცეული ეკლესიაა. (მიღანელი 1964: 96-97). ილორის წმ. გიორგის სასწაულებზე ცნობები დაცულია ლამბერტისა და შარდენის ჩანაწერებში. საინტერესო გადმოცემა ჩაუწერია აგრეთვე ფრანგ მეცნიერს, არქეოლოგსა და საზოგადო მოღვაწეს ბარონ დე ბაის (ბარონი დე ბაი 2011: 118-119). ილორის ხატზე მტრის დაწვევისა და „გადაცემის“ წეს-ჩვეულებას ვრცლად აღწერს სერგი მაკალათია (მაკალათია 1941: 348-358; იხ. აგრეთვე კაცია 1963).

პ. ინგოროყვას მოსახრებით, სოფლის სახელწოდება ილორი „თავისი გრამატიკული აღნაგობით, როგორც ამას გვიჩვენებს მისი ბოლოკიდური ფორმანტი „ორ-ი“, ქართული წარმოშობისაა“ (ინგოროყვა 1954: 176). მეკლევარი იმეორებს აღნიშნული სუფიქსით გაფორმებულ სხვა გეოგრაფიულ სახელებსაც: სხვიტორი, კოდორი, შაორი, გომბორი; თუმცა არაფერს ამბობს სახელწოდება „ილორის“ პირველ კომპონენტზე ილ- (იქვე).

კ. ოკუჯავა ოიკონიმ „ილორში“ ორ კომპონენტს გამოყოფს. პირველ კომპონენტს – „ილ“, ა. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართულ ლექსიკონზე“ მითითებით, გაიაზრებს როგორც „ძვალს“,

ხოლო ზანურ (ჭანურ) -ორ სუფიქსს ადგილმდებარეობისა და წარმომავლობის მაწარმოებლად მიიჩნევს. იმეორებს მსგავსი წარმოების ტოპონიმებს (ილორი, კოდორი, სულორი, ჩიხორი, შაორი, ქვილიშორი, ვიწორი, ცხუმორი, ქუთუშორი...) და დასკვნის: ილორი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, ან სოფელს, სადაც ეკლესია-მონასტერი და მასთან მდებარე საძვალე (სასაფლაო) იყო (ოკუჯავა ს. დ., 3, 2000: 17).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სენია ტოპონიმი (ყოფილი ოიკონიმი) ილორის სახით სამტრედიის რაიონშიც გვხვდება, პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ფიქრობენ, რომ ილორი კლდური სახელწოდება უნდა იყოს. სოფლის სახელწოდების აფხაზური ვარიანტი ელ? (ი და ო ბგერები აფხაზურს არ მოეპოვება) (ცხადაია, ჯოჯუა 2003: 251). ცნობისათვის: ილორი ასევე ეწოდება წმ. გიორგის ეკლესიას წყალტუბოს რაიონის სოფ. ქვილიშორში.

ლორი, ილორი მეგრულში აღნიშნავს როგორც მორს ან მორებად დასაჭრელ ხეს, ასევე ძელს, ძელიცხოველს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ ილორია განმარტებულია როგორც „მორისა, ძელისა; მორვადი, ხლენადი; სამორე ტყე; საკერპე ძელისა“, ხოლო ილორით როგორც „დამორილი“ (ქობალია 2010: 324). იმავე ლექსიკონის მიხედვით ილორუა მეგრულში აღნიშნავს მორებად ხლენას, დამორვას (ილორუ იხლიჩება, იმორება) (იქვე).

ილორის ვარიანტი ღორი იმავე ლექსიკონში წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელობით: „ღორი მორი, ნახეთკი ხისა; უბირატესად, შუაზე გახეთკილი ხე ან ძალიან სქელი და ფართო ნამორი, იყენებენ კარვის ბანურ სახურავად ან ხის ციხე-სიმაგრის მძლავრი კედლის ამოსაყვანად“ (იქვე: 383). ღორია იგივეა, რაც „ნამორი, ჯირკუტანა“; ღორით აღნიშნავს „დამორილს, შუაში გახეთკილ ხეს“, ხოლო ღორში – „ნახეთკი მორის ნაგებობას (სახოგ.); ხეში გამოდებულ ნავს“ (იქვე: 383). ტყეში საცხოვრებლად გამოხული და დახეთკილი, გაუწორკნავი ხეებით აგებული ქოხი, მორის კარავი ღორში კარედ იწოდებოდა (იქვე). მორებად დახლენილ და ხეებით აგებულ ციხეს ღორში ჯიხას უწოდებდნენ (იქვე). ამასთანავე, ოლორე სამორე ტყის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო ოლორუ აღნიშნავს მორების დამზადების ან მორების დასაცურებელ ადგილს (იქვე: 538).

ფართო და სქელი, ნაპობი ფიცრის აღმნიშვნელი სიტყვა ღორი ფიგურირებს აგრეთვე სამეგრელოში ჩაწერილ ორ ტოპონიმში. კერძოდ, ღორიშკარე ეწოდება ტყე-საძოვარს ნათფურში, ბურღონაშკარსა და ფართო წიფრის შუა; ამავე სახელს ატარებდა ტყე ქ. წალენჯიხისა და ს. ალერტკარის (ყოფილი გრიგოლიშის) საზღვარზე (ცხადაია I, 1999: 65-66; მისივე, IV, 2008: 202).

პ. ცხადაია ფიქრობს, რომ სოფ. ფახულანში, ენგურის მარჯვენა შენაკადის სახელწოდება ილორიც ო- პრეფიქსითაა წარმოქმნილი. ოლორი დარქმეულია ჯერ ტყეს, სადაც ღორი (კედლის ფიცარი) მზადდებოდა, შემდეგ მტრინიშის გზით ხეობას და ბოლოს მდინარეს, რაც ამ ხეობაში გაედინება (ცხადაია I, 1999: 66).

მეგრულის სალექსიკონო მასალებში ყურადღებას იქცევს შემდეგი განმარტებები: ილორში ნიში „ილორის ნიში, ტყეში დადგმული ქვითკარის პატარა ხეტი, რომლის თახჩაშიც ესვენა ხატი“; ილორში ოვანამე „ილორის საყდარი; ძელის საყდარი“; ილორგანი „ილორის მხრისა, საკაფი (ტყე)“ (ქობალია 2010: 324).

ხემათ მოხმობილი საილუსტრაციო მასალით შეგვიძლია სოფლის სახელწოდება „ილორი“ გავიზოროთ როგორც „ლორის – მწვემთა სადგომი კარვის გადასახურავად გამოსაყენებელი ფართო და სქელი, ნაპობი ფიცრის დასამზადებელი ტყე“, ან „ძელიცხოველი, ხატის დასასვენებელი თახჩიანი ნიში“.

კაპოეტის წყალი. საისტორიო და კარტოგრაფიულ წყაროებში, როგორც ხემათ აღნიშნა, საკუთრივ აფხაზეთში ელკალიზებული ერთ-ერთი, კერძოდ, მეკლევართა მიერ ბზიფთან, ჩვენი ვარაუდით მდ. დასავლეთ გუმისთასთან იდენტიფიცირებული მდინარის სახელწოდებად რამ-

დენიმე ვარიანტი დადასტურებული. ვახუშტი მას „კაპეტის მდინარეს“ უწოდებს. ამ სახელწოდებითაა იგი ცნობილი ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში. დიუბუა დე მონპერე ამ მდინარეს მოიხსენიებს კეპეტო-ს ფორმით (დიუბუა I, 1937: 100). ნიკო დადიანთან გვხვდება ფორმა „კაპეტის წყალი“ და „კაპეტის მდინარე“, ხოლო 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე – „კაპოეტის წყალი“.

ფიქრობენ, რომ მდ. ბზიფის ძველი სახელწოდების ამოსავალი შესაძლებელია იყოს ქართველური სიტყვა კაპოეტი, რაც სულხან-საბას ლექსიკონში ოთხი მნიშვნელობითაა მოცემული: 1. თევზის ერთ-ერთი სახეობა; 2. „ფრინველი წელიწად-გამოვლილი“; 3. ერთგვარი ბლახი 4. ქვაკაპოეტი ანუ ქვა პატოსანი; იგივე ზურმუხტი. სრულიად შესაძლებელია, რომ მდინარის სახელწოდება სიტყვის ხემათ მოტივად ერთ-ერთ მნიშვნელობასთან იყოს მისადაგებული (ბახია-ოქრუაშვილი 2010: 193).

პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ კაპოეტის წყალი წმინდა ქართული სახელწოდებაა. სულხან-საბასა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებზე მითითებით მეკლევარი დასკვნისა, რომ მდინარის სახელწოდება კაპოეტის წყალი ისეთივე წარმომავლობისაა, როგორისაც საკლამხე, ოკლამხე, კაპარტინა/კაპარტინის წყალი და სხვ. და უკავშირებდა კლამხ-ორაგულის ჯიშის თევზის სახეობას: „იგი მოზრდილი სახის კლამხია და გვხვდება სწორედ ამ მდინარეში, კაპოეტის წყალში“ (ინგოროყვა 1954: 181). კაპოეტს ეძახის ჩვეულებრივ ქაშაპს. კაპოეტს, როგორც თევზის სახეობას, იცნობს ვახუშტი ბატონიშვილიც (ვახუშტი IV, 1973: 43).

„კაპოეტის“ ეტიმოლოგიის გასარკვევად საყურადღებოა კაპეტი, კაპეტი სიტყვების სხვა მნიშვნელობაც; საიდანაც შესაძლებელია მომდინარეობდეს საკლევარი პიდრონიმი. კაპეტი და კაპეტი სამეგრელოსა და სამურზაყანოში აღნიშნავს როგორც „დიდს, მოზრდილს“, ისე „მსუქან, ნასვენ, ძნელად დასამუშავებელ, მაგრამ ნოყიერ მიწას“ (ქობალია 2010: 351).

კაპეტი გადატ. „მაგარის“ მნიშვნელობითაც გამოიყენება. მაგ. კაპეტისა/კაპეტისა მაგარი, ძნელად დასამუშავებელი მიწაა. მაგარ, აუღებელ ციხეს კაპეტი ჯიხას უწოდებდნენ; ამასთანავე, კაპეტი საზოგადოდ ეწოდება გარეულ მონადირე ფრინველს; კლამხ-ორაგულის მსგავსი ჯიშის თევზსაც სამეგრელო-სამურზაყანოში კაპეტი ჰქვია (ქობალია 2010: 354).

სიტყვის ხემათ მოტივით მნიშვნელობებიდან საკლევარი პიდრონიმს, ჩვენი აზრით, შეესაბამება „დიდი, მოზრდილი“. შესაბამისად, თუკი პიდრონიმი „კაპოეტს“ („კაპეტი“, „კაპეტი“) მდინარის სიდიდის ამსახველ სახელწოდებად მივიჩნევთ, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების ობიექტური ანალიზის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობა ნამდვილად არ იქნება მოკლებული დამაჯერებლობას.

კაპეტი სიტყვა ფიგურირებს სამეგრელოს შემდეგ ტოპონიმებში: კაპეტოგაში ღალ – ღელე ლეგახარეში; კაპეტი ტობა – მორევი ნაფინხუში; კაპეტი წყურგლი/თუღოლინე წყურგოლე – წყარო საბურღოლოში (საქ. ტობ., II, 1999: 211); კაპეტო/ვორე – საბალახო მარტილში (კეკელია 2008: 29; მისივე 2009: 68); კაპეტი – სახნავე ხუნწის საზღვარზე, ქვათში (ცხადაია V, 2010: 71);

მოქვი სოფელია იმავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე, ოჩამჩირის რაიონში. პიდრონიმი მოქვის ფორმით დასტურდება ანონიმი მემატიანის თხზულებაში, სადაც აღნიშნულია, რომ ზიჯანიდან ტარსურას წყალამდ, რომელსაც ამაჟამად მოქვი ეწოდება, 120 სტადიონი, ანუ 16 მილია (გეორგიკა II, 1965: 6).

მისიორე არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ამ მდინარეს ასე ჰქვია იმიტომ, რომ იგი ჩაუდის მოქვის საეპისკოპოსოს“ (ლამბერტი 2011: 201). რუკაზე მდინარე aquis-Schari-ს, ხოლო საეპისკოპოსო – ოგუისის ფორმითაა აღნიშნული (ბერაძე „მაცნე“, 3, 1971: 148).

ტოპონიმ „მოქვის“ შესახებ მსჯელობდა სახელოვანი მეცნიერი პ. ინგოროყვა, რომელიც აფხაზეთის „შუა-სოფლის“

მნიშვნელოვანი პუნქტის სახელწოდებას გრამატიკული გაფორმებითა და ბოლოკიდური ფორმანტით უღარებდა იმავე ტიპის სხვა ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (თმოგვი, ჩაქვი, ბახვი, ნეპვი, ძეგვი, არაგვი და სხვ.) და დასძინდა, რომ მსგავსი სახელი „მოქეთა“ გვხვდება შიდა საქართველოშიც, კერძოდ, შავშეთში (ინგოროყვა 1954: 168).

ტოპონიმის შესახებ მიაბიტურ განმარტებას გვთავაზობს კ. პანი: „Моква груз. (МОНАСТЫРЬ) ОТЪ მოკლა მოკლა-უსპოкойსა, почивай, умри“ (Гань 1909: 105). თ. მიბზუანის დაკვირვებით, „ეს ტოპონიმი მოგვაგონებს სვანურ სიტყვას „მოქე“, რაც მიწის ზენის აღნიშნავს. „მოქეარ“-ს (მრავლობითში) თხუნელების ან ვირთხების მიერ გადანათხარ ადგილს უწოდებენ“ (მიბზუანი 1989: 257).

„მოქვის“ ეტიმოლოგიის შესახებ პ. ინგოროყვასა და თ. მიბზუანის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი მიმოიხილა კ. ოკუჯავამ, თუმცა საკუთარ, განსხვავებულ განმარტებას არ გვთავაზობს (ოკუჯავა 2002: 97).

შესაძლებელია ტოპონიმ „მოქვის“ მეგრული ენის ნიადაგზე ახსნაც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მოქვი დღესაც ცოცხალი სიტყვაა სამურზაყანოს მეგრულთა მეტყველებაში და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „რიყიანი, ქვით მოფენილი ადგილი“. ა. ქობალიას ლექსიკონში მოქვი, მოქვილი განმარტებულია, როგორც „რიყიანი“ (ქობალია 2010: 479). მოქვის მეორე მნიშვნელობა – „მოფეული, ფეკილით მოფენილი; ჩქერალი“, სემანტიკურად ასევე „ქვებით გადათურებულ ადგილს“ შეიძლება დაუკავშირდეს (იქვე: 479).

მუწისწყალი/მუწუსწყალი. ვახუშტი ბატონიშვილი მუწის წყალს უწოდებს მდინარეს, რაც „ზუფუს დასავლეთ“ მიედინება (ვახუშტი „ქ. ცხ.“, IV, 1973: 784). ხემათ აღნიშვნით, რომ ამ მდინარეს ამაჟამად მჭიშთა ეწოდება.

პიდრონიმი გვხვდება ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაშიც (1621 წ.), მუწუსწყლის ფორმით. პ. ინგოროყვა სახელწოდებას ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა და შენიშნავდა, რომ გარკვეულ მანძილზე მდინარის მიწისქვეშ დინება უნდა გამხდარიყო ასეთი სახელწოდების მიზეზი. მაშასადამე, პ. ინგოროყვას აზრით, მდინარის თავდაპირველი ფორმა მიწის წყალი უნდა ყოფილიყო, საიდანაც უნდა მიგვედო მუწისწყალი (ინგოროყვა 1954: 181). ეს თვალსაზრისი პირველად გამოთქვა აკად. ს. ჯანაშიამ (ჯანაშია, VI, 1988: 287; მსჯელობისათვის იხ. ოკუჯავა 1998: ზუხბაია 1998: 114; ბახია-ოქრუაშვილი 2010: 200).

მაშასადამე, ფიქრობენ, რომ სახელწოდება მიწისქვეშა მდინარის, კარსტული მდინარის აღმნიშვნელია (შდრ. მიწისქვეშა წყარო – წყარო სოფ. დრეში (ატენის თემი, გორის რ.)).

შესაძლოა ამ სახელწოდების ეტიმოლოგია მჭიდროდ დაუკავშირდეს სიტყვას მუნწილი/მუნჭილი, რაც მეგრულ ენაში აღნიშნავს დამუწულს, მოკუმულს, დახურულ სივრცეს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მუნწუა/მუნჭუა განმარტებულია როგორც „მუწუა (ტუნებისა)“ (ქობალია 2010: 499). ამ შემთხვევაში მუწისწყალი (მუნწილწყარი) აღნიშნავს მდინარეს, რაც დახურულ სივრცეში დის (ვოკლუხს).

ამასთანავე, მურწა ერთგვარი თევზიცაა (მურწა ჩხობი „წვრილი თევზი“) და ბალახიც (იქვე: 500). მუნწი/მუნწი ეწოდება ლოფორთქინას, ლალის ჭიას. მუწიში ლალისყურია, ხოლო მუწიში წყარი იგივეა, რაც ლალის წყალი (იქვე: 501).

ამ პიდრონიმის სემანტიკის შესაცნობად საყურადღებოა შემდეგი ტოპონიმები: მუწურელა – ღელე ბაღდათის რაიონის სოფ. პირველ ოჩაში (საქ. ტობ., III, 2003: 195); (მუ)წ(6)წკარა/მუ(6)წკარაღალ – რენხიწკარის მარცხენა შენაკადი ღალის რ-ნის სოფ. რენხში (ცხადაია, ჯოჯუა 2003: 99).

ილორ კმეღია, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა რძლი

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

მთავარი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქირავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არწმუნებდნენ ერს, რომ ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას "საბჭოთა ჩიხიდან" გამოიყვანს. ეს ასე ფაქტზე გაზრდილი "ექსპერტები" არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააუქმებდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და გახარებული გლეხობა გამორჩეული ენთუზიაზმით დაამუშავებდა მას, მოსავლიანობა ათმაჯად გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი. საინტერესოა, რომ თავად გლეხები სხვა აზრისანი იყვნენ, მაგრამ "ექსპერტები" ამის მათი "ჩამორჩენილობითა" და "საბჭოთა მენტალიტეტით" სწინდნენ. მასსოვს ტელერეპორტაჟი კახეთიდან, რომელშიც ჟურნალისტმა ჰკითხა მოხუც გლეხს, რას გააკეთებდა იგი, როდესაც მიწას საკუთრებაში მიიღებდა. მან დაღინებულმა შეხედა მას და უპასუხა: "გავეიდი, შეილო, თუ ვინმე იყიდის. რით ან როგორ დავამუშავებ?". ჩვენს "ცივილიზებულ" ექსპერტებს არ ესმოდათ, რომ თავად მიწა გლეხისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ღირებულებას წარმოადგენს მოსავალი და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა. ხოლო რათა მიიღო მოსავალი, მიწა უნდა დაამუშავო, ამისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკა, საწვავი, სასუქი და ა. შ. თუ ეს ყველაფერი გლეხს არ გააჩნია, მაშინ მიწაც არ სჭირდება და იგი ეცდებოდა მის გაყიდვას; ხოლო მცირემიწიანი საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ერი დაკარგავს საკუთარ მიწაზე უფლებას.

მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება არის დანაშაული არამხოლოდ მცირემიწიანობის მიხედვით, არამედ იმიტომაც, რომ ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს და ერი არაა მხოლოდ დღევანდელი თაობა, არამედ - წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული. ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის. ღმერთმა მიწა გვიწავლობა, რათა თაობიდან თაობამდე დაგვემუშავებინა და გვესარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ღმერთის წყალობის გაყიდვის უფლება არ გვაქვს. თავის დროზე ძალიან გამოვიკვირდა, რომ ქართულმა მართლმადიდებელურმა ეკლესიამ არ გამოთქვა პროტესტი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

- დღეს ეკლესია საზოგადოების ულტრალიბერალური ნაწილისგან თავდასხმებს განიცდის, მას ჩამორჩენილს, არათანამედროვეს, ბარბაროსულს უწოდებენ, მაგრამ საზოგადოების პატრიოტულ ნაწილსაც გააჩნია საყვედურები ეკლესიის მისამართით. მასსოვს, რომ თქვენც გამოთქვამდით უკმაყოფილებას ეკლესიის საქმიანობის გამო...

- საზოგადოების პატრიოტული ნაწილი, მათ შორის მეც, უკმაყოფილო იყო ეკლესიის პასიურობით, მისი გადაწყვეტილებით, - არ ჩარეულიყო საზოგადოებრივ პროცესებში და არ გამოეთქვა თავისი მოსაზრება ერის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების თაობაზე. ქვეყნის ნგრევის, ერის გახრწნის, საზოგადოების დეგრადაციის, ტრადიციული ღირებულებების დევაღაციის პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს და ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა ანაპორტული, გამყიდველი ხელისუფლება იყო. ხალხი ამას ხედავდა და ელოდა ეკლესიისგან საპროტესტო სიტყვას, იმედი ჰქონდა მისი პრინციპული პოზიციის, მაგრამ ეკლესია

დუმდა, თავს იმართლებდა საერო ცხოვრებაში არჩარევის პრინციპით. ზუსტად მაშინ მე საჯაროდ განაცხადე და რამდენიმეჯერ გავიმეორე, რომ ღმერთმა ჩვენ ეკლესია ერის გადასარჩენად, სულიერი განვითარებისთვის და ზნეობრივი სრულყოფისთვის გვიბოძა და ამ მაღალი მისიის შესრულებისგან ეკლესიის განდგომა დაუშვებელია-მეთქი. ეკლესია დუმდა აგრძელებდა. მიუხედავად ამისა, მის მიმართ ნდობის დონე რჩებოდა ძალიან მაღალი, თავისთავად ეკლესია იყო და რჩება ერთადერთ საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელსაც ხალხი უკავშირებს თავის იმედებს ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ქართულმა ინტელიგენციამ, რომელიც საბჭოთა პერიოდში ამ როლს ასრულებდა, თავისი კონფორმიზმის, სიბეცისა და ხალხისგან მოწყვეტილობის გამო ეს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია დაკარგა. მაღლობა ღმერთს, ბოლო ორი-სამი წელი ქართული სამღვდლოების ნაწილმა, მათ შორის ეკლესიის იერარქებმაც, დაიწვეს მწვავე ეროვნულ საკითვებზე ქადაგება არამხოლოდ ტაძარში, არამედ გახეთის ფურცლებიდანაც. მთელი გულით მივესალმები სასულიერო პირების ასეთ საზოგადოებრივ აქტივობას. მთავარია, რომ ქვეყანაში არსებული ანტიეროვნული ძალების ძლიერი ზეწოლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წნეხის გამო ეს დიდი ხნის ნანატრი აქტივობა კლებსკენ არ წავიდეს და ეკლესია კვლავ არ ჩაიკეტოს თავის შიდა ცხოვრებაში. ამისთვის კი მას მთელი საზოგადოების, მთელი ერის მხარდაჭერა სჭირდება. ეს ესება არა მხოლოდ მართლმადიდებელ მრევლს, არამედ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რომელთაც სურთ მომავალი თავიანთი შვილებისთვის. ყველაზე შეუპოვარ ათეისტს, საზოგადოებრივი ინოვაციების

ყველაზე აქტიურ მხარდამკერს უნდა ესმოდეს, რომ მართლმადიდებლობა ჩვენი ერის ტრადიციული ღირებულებების საგანძურში უდიდესი პლასტია, რომელიც ქართველი ერის იდენტობას განსაზღვრავს, ხოლო ტრადიცია ერის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. სიახლეები ხელს უწყობს პროგრესს მხოლოდ ტრადიციასთან ურთიერთქმედებისას, მხოლოდ მასთან ორგანული შერწყმისას. სიახლეებს, რომლებიც აძევებენ და ანაცვლებენ ტრადიციას, ერის დეგრადაციისა და გადაგვარებისკენ მიყვავართ.

სამღვდლოება თავისი შემადგენლობით არაერთგვაროვანია. სასულიერო პირებს შორის არიან კონფორმიზმებიც, რომლებიც მზად არიან ითანამშრომლონ ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე ანტიეროვნულ ხელისუფლებასთან; არიან «რეფორმატორებიც», რომლებიც ცდილობენ, "გაათანამედროვონ", "გააცივილონ" მართლმადიდებლობა, სინამდვილეში კი სურთ, თავს მოგვასიონ პროტესტანტული ღირებულებები; არიან თავდაჯერებული ეკუმენისტებიც, მაგრამ არსებობენ თანმიმდევრული, ეროვნულად და პატრიოტულად ორიენტირებული, დრმად მორწმუნე მართლმადიდებლობის მსახურები, რომლებიც მზად არიან, თავი გაწირონ სჯულისა და მამულისთვის. დაინახეს რა, როგორი სატანური ქვესკნელისკენ უბიძგებენ ერს გარე და შიდა ბნელი ძალები, ამ სასულიერო პირებმა აღიმაღლეს ხმა და ამით აგრძნობინეს ერს, რომ ეკლესია ჩვენთანაა, ესე იგი ჩვენთან არს ღმერთი! ეს ის ხალხია, რომელიც აცნობიერებს, რომ ემსახუროს ღმერთს, ნიშნავს ემსახუროს შენს ერს და მიიყვანო იგი ღმერთთან. ჩვენი სამოქალაქო და ეროვნული ვალია, მხარი დავუჭიროთ ასეთ სამღვდლოებას.

ესაუბრა ირაკლი თოდუა

თბილისში „დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი“ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა



„დიდი სამამულო ომის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი“ საერთაშორისო კონფერენცია თბილისის ოტელ „კერეპალასში“ გაიმართა. დონისიძიება ჩატარდა გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმის - „ერთიანობით მიღწეული დიადი გამარჯვება“ მომზადების ფარგლებში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილი ქართველი და რუსმა ექსპერტებმა, მეცნიერებმა, ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივისტებმა, პოლიტოლოგებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პუბლიცისტებმა, ჟურნალისტებმა და, რა თქმა უნდა, დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა: დავით ღმერთაშვილმა, სერგო მირზოიანმა, პროფესორმა შოთა ბუაძემ, საქართველოს შეიარაღებული ძალების, ომის და შრომის ვეტერანმა ანზორ დანელიამ, ტარას იჩქითიძემ და ბევრმა სხვამ, რომელთა გულწრფელმა სიტყვებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრეებზე. ორგანიზატორები იყვნენ განვითარების ფონდი „ევრაზიული კვლევების ინსტიტუტი“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ (საქართველო), ნაციონალური საკვლამომლო ფონდის (რუსეთი) მხარდაჭერით. გამომსვლელთა რიცხვში იყვნენ:

1. ოქსანა სოლოპოვა - დეკანის მოადგილე - მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის სწავლული მდივანი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი;
2. ვლადიმერ სიმინდი - აქტუალური ისტორიული კვლევების მხარდაჭერის ფონდის - „ისტორიული მეხსიერება“ საკვლევო პროგრამების ხელმძღვანელი;
3. მაია ბობენკო - მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და ისტორიის კათედრის ასისტენტი;
4. დავით მხეიძე - პუბლიცისტი, პოლიტოლოგი, უფლებათა დამცველი, საზოგადო მოღვაწე;
5. რევაზ ნაცარიშვილი - საქართველოს შეიარაღებული ძალების, ომისა და შრომის ვეტერანების ცენტრალური კავშირის გამგეობის საბჭოს თავმჯდომარე;
- 6.7. საქართველოს შეიარაღებული ძალების, ომისა და შრომის ვეტერანების ცენტრალური კავშირის გამგეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ტიტე ლეფსაია და უშანგი შერმახანაშვილი;
8. გივი სომხიშვილი - მწერალი, საზოგადო მოღვაწე;
9. ვიქტორ ცაავა - გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. ირაკლი უბილავა - პოლიტოლოგი, ექსპერტი, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ ხელმძღვანელი;
11. ნანა დევიდარიანი - ჟურნალისტი, უფლებადამცველი, საზოგადო მოღვაწე;
12. გრიგოლ ონიანი - საერთაშორისო ორგანიზაციის - „სტალინი: უმადლესი მთავარსარდალი, როგორც დიადი გამარჯვების შემოქმედ“ თავმჯდომარე, საქართველოს ვეტერანთა კავშირის გამარჯვების 70 წლისთავის ზეიმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;
13. თამარ კიკნაძე - კავკასიის საერთა-

შორისო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი;

14. გულბაათ რეხილაძე - პოლიტოლოგი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი;
15. კოტე ჩიკვილაძე - პოლიტოლოგი;
16. ზაურ გახარია - საზოგადოებრივი მოძრაობა „სამეგრელოს“ მთავარი საბჭოს წევრი;
17. ირაკლი ყიფიანი - ევრაზიის ინსტიტუტის თანამშრომელი;

„დიადი გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი“ მრგვალი მაგიდა დონისიძიების ორგანიზატორს - არსამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ დამფუძნებელ ტარედ გაგანიძეს მიჰყავდა, რომელმაც საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ კორესპონდენტ დიანა შერეშაშვილთან საუბარში აღნიშნა:

„ეს კონფერენცია განვითარების ფონდ „ევრაზიული კვლევების ინსტიტუტისა“ და ჩვენი - არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ (საქართველო) მიერ არის ორგანიზებული - ნაციონალური საკვლამომლო ფონდის (რუსეთი) მხარდაჭერით. მოწვეული არიან ვეტერანები, საზოგადოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები. დონისიძიება ეძღვნება დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავს. მინდა აღვნიშნო, რომ ეს გამარჯვება სისხლითა და არადაამიანური ძალისხმევით მოვიპოვეთ, რაც, სამწუხაროდ, დღეს ბევრს უნდა შევახსენოთ. ადგილი აქვს ისტორიის, კერძოდ, დიდი სამამულო ომის, გადაწყვეტის, გამარჯვებულთა როლის მჭიმვმ დაკვირვების სერიოზულ მცდელობებს კონიუნქტურულ ინტერესებში. მიუხედავად ამისა, იმ ომის ხსოვნა ჯერაც ცოცხალია და ვინც გამარჯვებას ჭედავს, ისინი აქ ესწრებიან, ჩვენ გვერდით არიან.

ძვირფასო ვეტერანებო, ვსარგებლობ შემთხვევით, გამოვხატავ ღრმა პატივისცემას და ქედს ვიხრი თქვენს პეროიზმის წინაშე. დიდი მადლობა!“

სააკაშვილი - ილიოტია

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, იგი ავტომანქანა Hyundai-ს ყიდვას აპირებდა, თუმცა, საბაჟო გადასახადის გამო უკრაინაში ამ მარკის მანქანის ფასი საქართველოში Maserati-სას უტოლდება. ამასთან, სააკაშვილმა ვერ მოახერხა უკრაინაში მიწის ნაკვეთის შექმნა მიწის გაფორმების გაჭიანურებული პროცედურების გამო.

საკაშვილი რომ ილიოტია, მსოფლიოში დიდი ხანია არავისთვის საიდუმლოდ აღარ წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ჩანს, ის იდობებად თვლის ყველა დანახრჩენს: მან პრეზიდენტობისას მილიონობით დოლარი იშოვა ნარკოტრანზიტზე ავღანეთიდან საქართველოს გავლით ევროპაში (თურქეთის გავლით) და რუსეთში (პანკისის ხეობის გავლით) - ჩრდილოეთ კავკასიისკენ); უკრაინასა და ისრაელში შექმნილი იარაღის მიყიდვით ტერორისტებისათვის ყველა „ცხელ წერტილში“; მოახდინა ყველა ბიზნესმენის ქონების ქონფისკაცია საქართველოში, მათ გარდა, ვისაც დალა დააკისრა; უცხოელებს მიჰყიდა თითქმის მთელი საქართველო - მიწა და სტრატეგიული დარგები; მთლიანად აკონტროლებდა ენერგომარტარებლების ბიზნესს - ჰქონდა წილი საქართველოში გაყიდული ბენზინისა და დიზელის საწვავის თითოეულ ლიტრში და ელექტროენერჯის თითოეულ კილოვატში; აკონტროლებდა საქართველოს ყველა ტელევიზიას და დღემდე ფლობს ყველაზე დიდ ტელეკომპანია „რუსთაი 2“-ს, რომელიც მფლობელს წაართვა და შემდეგ მოკლა (კიწმარისევილი); მოკლა პატრაკაციშვილი და მისი საკუთრა მისი ბიზნეს-ობიექტები, მოკლა ყვანია და მისი საკუთრა მისი ფული სეიფიდან, ასევე სხვა აქტივები; საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან გაიტანა ფიროსმანის ორიგინალები და ბევრი სხვა შედეგები; მეუღლესთან ერთად ვაჭრობდა ადამიანის ორგანოებით (სისი გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება)...



სამონფორმი

ჩაქცეული ღაქცეულები, ანუ “რუსთავი 2”-ის სინდრომი ქართულ ბიზნესსა და პოლიტიკაში

გაზეთმა “ილორო” არაერთხელ აწვლია ტელეარხი “რუსთავი-2” პროვოკაციული მიზნით დეზინფორმაციების გავრცელებაში, რაც გამიზნულია ქვეყანაში სიტუაციის ასარეგად. უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს ტელეარხი არის არააქტივისტთა საფიზნო, არამედ ავადსახსენებელი ნაციონალებისა და მათი დორბლიანი ბეჭადის დაშნაკ სააკიანცის გესლიანი პროპაგანდისტული ფილიალი, რომელიც საზოგადოებაში თესავს უიმედობის განცდას და ყოველი საძრახის მეთოდით ცდილობს წარმოგვიდგინოს აპოკალიპსური სურათი. არა და, ჟურნალისტის ნიღაბს ამოფარებულ ტელეარხი “რუსთავი-2”-ს გენდირექტორ ნიკა გვარამიას და მის პროპაგანდისტულ ბანდას ავიწყლებათ, რომ საქართველომ აპოკალიფსის გამოიარა სწორედ ის რომ ნაცების ზეობის ჟამს, როცა ეს სულიან-ხორციანად მახინჯი არაადამიანები ატერორებდნენ ბიზნესს, უკანონოდ ართმევდნენ ხალხს საკუთრებას, ციხეებში მყიდნენ უდანაშაულო ადამიანებს, აწამებდნენ ცოცხებით და ბანდიტურად, განსაკუთრებული ცინიზმით ხოცავდნენ ახალგაზრდებს ქალაქის ქუჩებში!

სწორედ ტელეარხ “რუსთავი-2”-ს ანტიჟურნალისტურ და ანტიადამიანურ წინადადებებს ეძღვნება ბაკურ სვანიძის წერილი, რომელიც გამოქვეყნებული გახლდათ გაზეთში “საქართველო და მსოფლიო”.

რა თქმა უნდა, გულიც ავიწყდება კაცს და ცდილობ კიდევ, წარმოიდგინო, რა მიძევა სააკუთარი შრომით, ოფლით, დავიდარაბით მოპოვებულ, მრავალი წლის განმავლობაში ნალოიავებ ქონებას რომ ერთ დღეში “ახევენ” სრულიად უდანაშაულო ადამიანს.

კი, ბატონო, მიძევა განცდა... მაგრამ დამეთანხმეთ, არანაკლებ მიძევა განცდა ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, როდესაც ერთ სატელევიზო არხზე ამ სულის შემძვერულ სიტყვებს ისმენ და, თუ ამ მომენტში გადართავ “რუსთავი 2”-ზე, სწორედ იმ ადამიანთა კუთვნილი ორგანიზაციების რეკლამის ნიაღვარი დაგხვდება, რომელი ადამიანებიც “ნაციონალებისაგან” ჩაგვრის გამო გვირუკებდნენ გულს.

ახლა 2000-ანი წლების დასაწყისი რომ იყოს, როდესაც ფართო მასებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რას წარმოადგენდა სინამდვილეში “რუსთავი-2” და ბევრს მართლაც “ხალხის ტელევიზია” ეგონა, კიდევ არაფერს ვიტყვით!

მაგრამ იმ ავადსახსენებელი 9 წლის განმავლობაში და, განსაკუთრებით – ბოლო 2 წელიწადში ხომ ოდნავი ეჭვიც აღარავის დარჩა, რომ ეს ტელევიზია სინამდვილეში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უღვრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ და უღვრათანამდროვე ადამიანებით დაკომპლექტებულ პროპაგანდისტულ დეპარტმენტს წარმოადგენს?!

მაგრამ ამ სტატიის მიზანი არ არის ქართული ტელეარხების აკარგვანობის განხილვა და შეფასება. რაც უნდა იყოს, როგორც უნდა იყოს, სულაც “სი-ენ-ენი” და “ბი-ბი-სი”-ც რომ იყოს, განა ნორმალურიია, რომ ადამიანმა რამდენიმე ათეული და, ალბათ, რამდენიმე ასეული ათასი ლარიც კი შეჰმატოს იმ ტელევიზიას, რომელიც სულ რაღაც 2-ოდე წლის წინათ ამავე ადამიანის დაპატიმრებას, მისთვის ქონების ჩამორთმევას და მისი ოჯახის მარცხს “კანონიერების ზეიმად” ასაღებდა, ხოლო თვითონ ამ ადამიანს პრეზუმციისა და ყოველგვარი ზნეობრივი ნორმების დარღვევით პირდაპირ უწოდებდა “ბიუჯეტისთვის თანხების დამალავს”, “არაპატიოსან საქმოსანს”, “კანონდამრღვევ ბიზნესმენს”?

ერთიც არის – ყველას აქვს არჩევანის უფლება და ვინმემ შეიძლება ისიც თქვას, უნდა ამ კაცს და აძლევს ფულს თავისივე მხაგრელები, ეგ ვისი რა საქმეა?!

კი, ბატონო, მაგრამ მაშინ ჩაქცეულთა ეს საჯარო წუწუნი – “არიქა, დაგვაქციეს “ნაციონალებმა” და ახლა ახალმა მთავრობამ მოგვხედოს, ჩვენი შელახული ღირსება დაიცვას და ხელის-გულზე გვატაროსო” – რაღა არის მაშინ? თუკი “ნაციონალებს” ყველავც აფინანსებენ “რუსთავი-2”-ისთვის ფულის გადარიცხვის გზით, მაშინ ჩუმიდ მაინც იყვნენ და ნუ-ღარაფერს ითხოვენ!

ობროძლოს და თქვენ საკუთარი ღირსება სულ ფეხებზე უნდა გეკიდოთ, არა? უფრო მეტიც – უნდა აფინანსებდეთ იმას, ვინც თქვენს ღირსების დამცველს ებრძვის? იცით, რას გეტყვით, ბატონებო? საკუთარი ღირსების, ასევე სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლის მაგალითი ჯერ თქვენ უნდა დაგვანახოთ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიმსახურებთ უფლებას, მთავრობასაც იგივე მოსთხოვოთ!

თუმცა რა ვთქვა? ეგებ ფუჭიც იყოს ასეთი ზნეობრივი კრიტიკის შეხსენება იმისთვის, ვინც “პროფესიონალები” უწოლა ადამიანებს, რომლებიც ბოლო წუთამდე რეჟიმთან თანამშრომლობდნენ და არც იმას მორიდებია, საკუთარი ოჯახის ტელევიზიაში დაესაქმებინა ისინი!

ხოლო ადამიანებს, რომლებმაც რეჟიმთან თანამშრომლობა, უბრალოდ, არ იკადრეს, “წარუმატებლის” იარღილი მიაკრა და, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის რისკის ფასად გვერდით ედგნენ რეჟიმის დამარცხებაში, გამოიყენა და უწურადღებოდ მიაგლო!

ასე რომ, ჩვენს, ეს “რუსთავი 2”-ის სინდრომი, როგორც ბიზნესმენებს, ასევე მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებსაც და მათ “მამა-მარჩენალსაც” ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი...

შენიშვნასავით: როდესაც რედაქტორს ამ სტატიის თემაზე ვესაუბრებოდი, მოითხოვა, რამდენიმე კონკრეტული ბიზნესმენი და ფირმა მაინც დამესახელებინა.

არა მგონია, ეს დიდი პრობლემა იყოს, მაგრამ, “ერთი ცხვირი რომ დავასახელოთ, მეორეს ეჭვინებას” პრინციპით, თავი შევიკავებ დასახელებისგან.

თუ მაინც გსურთ მეტი კონკრეტული, ნებისმიერ დღეს, საღამოს საათებში, ან თუნდაც ახლავე გადართეთ “რუსთავი-2”-ზე და დაელოდეთ სარეკლამო ბლოკს. მერე ჩამოწერთ ფურცელზე იმ ორგანიზაციების სახელებს რომლებიც, რომელთა რეკლამებიც იხილეთ და გაიხსენეთ, მათგან 70 პროცენტის მეპატრონე-მეწილე ან დირექტორი რა დღეში ჰყავდათ “ნაცებს” ჩაგდებული!

სტოკჰოლმის სინდრომის შესახებ, სავარაუდოდ, ყველას გვსმენია; ვისაც არა, გეტყვით: გასულ საუკუნეში, ქალაქ სტოკჰოლმში ტერორისტული აქტის დროს მოხდა ისე, რომ მძევლად აიყვანილი ადამიანები განიცდიდნენ გარკვეულ თანაგრძობას ტერორისტების მიმართ. ამის შემდეგ, ყველა მსგავსი შემთხვევა, როდესაც ჩაგრულს უყვარდება თავისი მხაგრელები, სპეციალისტების მიერ “სტოკჰოლმის სინდრომად” მოიხსენიება ხოლმე.

თუკი ამ ორიოდ წლის წინათ ჯერ კიდევ გაფართოვდებოდნენ ხოლმე ამ ტელევიზიის ჟურნალისტები, როცა მათ ვინმე ეტყოდა, – “ნაციონალების” ჯიბის ტელევიზია ხართო! და ზრდილობის გამო მაინც გამოხატავდნენ მცირე პროტესტს, დღეს ანალოგიურ ბრალდებას სრულიად მშვიდად ისმენენ პირდაპირ ეთერშიც და, არათუ პროტესტის, უარყოფის ნიშნად თავის უბრალო გაქვეყნებების სურვილიც კი აღარ აქვთ.

მინდა, ვინმემ ჰკითხოს ამ ხალხს: ნუთუ არ იცით, სად მიდის და რისთვის იხარჯება ის ფული, რომელიც თქვენგან “რუსთავი-2”-ში შედის? არ დაიწყეთ, ძალიან გთხოვთ “მარკეტინგული გამართლებები” და რეიტინგზე “რეა ბაზარი”! თუკი თვითონვე ცვლით საკუთარ ღირსებას “მარკეტინგსა და რეიტინგში”, მაშ, რაღას თხოვთ ხელისუფლებას? ღირსება – ეს ისეთი რამეა, რაც რეალურად უნდა გაგანდეთ, რომ მერე დაიცვათ, ბატონებო!

“დღესაც თავის ადგილებზე სხედან იგივე პროკურორები, რომლებიც უკანონოდ “აპრავებდნენ” ჩვენთვის ქონების წართმევას. ეს დაუშვებელია!” – ეს ფრაზაც ერთ-ერთი თქვენგანის გულმხურვალე მოლოდებაა მთავრობისადმი, რომელიც ჩემი ყური მთავრობის ერთ-ერთ თოქშოლში...

აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია, დავარქვათ “რუსთავი 2”-ის სინდრომი იმ უცნაურ მოვლენას, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში თვალშისაცემია. ვგულისხმობ “ნაციონალების” მმართველობის პერიოდში დაჩაგრული ქართველი ბიზნესმენების მიერ იმ ტელეკომპანიისთვის უამარავი თანხების გადახდას, რომელიც ტელეკომპანია მათ ჩაგვრას უნამუსოდ ამართლებდა.

ზუსტად ასევე არიან “ნაციონალი” პოლიტიკოსები: თუკი ორიოდ წლის წინათ ჯერ კიდევ მოხდომებით უარყოფდნენ “რუსთავი 2”-თან პირდაპირ კავშირსა და მათი შტაბიდან ამ ტელევიზიის პირდაპირ მართვას, დღეს უკვე ღამის კახეთის გაბატონებულ გავრცელებულ ტელევიზიის ოფისიც და იქიდან განაგრძობს მათ წინააღმდეგ ბრძოლას...

კი, მაგრამ, ბატონებო, ნუთუ არ იცით, რომ “რუსთავი 2”-ში დღესაც მუშაობენ ის ჟურნალისტები, პროდიუსერები და სცენარისტები, რომლებიც თქვენთვის ქონების წართმევების საქციელს “აპრავებდნენ”?!

თუ კარგად ვერ გაიხსენებთ, მაგასაც არა უშავს! ყურადღებით ადევნეთ თვალი სხვადასხვა ტელევიზიის თოქშოლებს და უახლოეს დღეებში უეჭველად მოჰკრავთ თვალს კერანზე მოწუწუნებს – აი, ასე და ასე დამაქციეს “ნაციონალებმა”!

“წვენი ვითხოვთ ჩვენი შელახული ღირსების აღდგენას, ჩვენთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაზე მეტად, სწორედ ეს საკითხი გვადრეკებს. ჩვენ გვინდა, იცოდეს ჩვენმა შთამომავლობამ, რომ არაფერი დაგვიშავებია ქვეყნის წინაშე და მხოლოდ ჩვენთვის მიღობის წართმევა იყო რეალური მიზანი. ამიტომ გვიყენებდნენ სხვადასხვა ამბსურადი ბრალდებებს, ვაპატიმრებდნენ და ფულს გვაძლავდნენ!” – ასეთი ტექსტი, ალბათ, არაერთხელ მოუსმენია სხვადასხვა სატელევიზიო თოქშოლში ჩვენს მკითხველს...

ასე რომ, ჩვენი პუბლიკაციის “გმირ” ბიზნესმენებს ვერაფერს გაამართლებს იმით, რომითთქოს არ იციან, რას წარმოადგენს ეს ტელევიზია და მხოლოდ რეიტინგის გამო, უჭირავთ მარკეტინგული გათვლებით დებენ იქ ათასლარიან რეკლამებს!

ეს ტელევიზია დღესაც “აპრავებს” იმ პროკურორების პროკურატურაში ყოფნას და, თუკი რომელიმე მათგანს იქიდან გაუშვებენ, განგაშს ტეხს – “არიქა, პოლიტიკური დევნა დაიწყეთ!”

თუ კარგად ვერ გაიხსენებთ, მაგასაც არა უშავს! ყურადღებით ადევნეთ თვალი სხვადასხვა ტელევიზიის თოქშოლებს და უახლოეს დღეებში უეჭველად მოჰკრავთ თვალს კერანზე მოწუწუნებს – აი, ასე და ასე დამაქციეს “ნაციონალებმა”!

ასეთი ფრაზების აგტორი სწორედ “ნაციონალური” რეჟიმის მიერ დაჩაგრული, დაპატიმრებული, შეურაცხყოფილი და დაქცეული რომელიმე ბიზნესმენია ხოლმე...

სულაც არა! ვადაიარებ, რომ ყველა დანარჩენი ტელევიზია გაცილებით ჩამორჩება “რუსთავი-2”-ს, რომელიც, სამწუხაროდ, ნაგავია, ანუ სხვა ტელევიზიები ნაგავზე უარესები არიან...

გამოდის, თქვენი ლოგიკა ასეთია: ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს “ომი “ნაციონალების” წინააღმდეგ” თქვენს ღირსების აღსადგენად! ამით ის მამასისხლად გადაიკიდებს “რუსთავი-2”-ს. თქვენ კი იმავე “რუსთავი-2”-ში უნდა ჩადოთ მრავალი ათასის რეკლამა, რათა არ გაიფუტოს ურთიერთობა ამ მსხვილ მედიანაშუალებებსთან, რაღავად ეს თქვენთვის მარკეტინგულად წამგებიანი იქნება, ხო?

ანუ, თქვენი “ღირსებისთვის” სხვამ უნდა

“სააკაშვილია ოთხ კანონიერ ქურდს საქართველოში არეულობის მოწყობა სთხოვა”

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჭავანაძე პრესას წინა ხელისუფლების პერიოდში, საქართველოში ე.წ. კანონიერი ქურდების თავისუფალი მიმოსვლის შესახებ ინფორმაციას უსკლუხიურად აწვდის. მისი თქმით, “კრიმინალურ ავტორიტეტებთან” კავშირი ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე ლიდერს, მათ შორის, გივი თარგამაძეს ჰქონდა, რომელიც უკრაინაში მიმდინარე პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა და ახლაც მონაწილეობს. ე.წ. კანონიერი ქურდების ამ ჩამონათვალი რამდენიმე პოპულარული პირიც ფიგურირებს, მაგალითად აფხაზი “ქურდი” ანთიმოზ ქუხილაძე და ამირან ებრაღიძე. მჭავანაძის ინფორმაციით, ამ ადამიანებს ნაციონალების მადლჩინოსნებთან დღემდე აქვთ კავშირი, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად კი საქართველოს ციხეებში არეულობასა და ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების შექმნას გეგმავენ.

– ამას რით ამტკიცებთ?
– ამას ნაციონალების ხელისუფლებაში რამდენიმე “კანონიერი ქურდის” საქართველოში შემოსვლა მოწმობს. ნაციონალებმა თავად მიიღეს კანონი, რომ, თუ ადამიანი “ქურდი” იყო, მაშინვე და უპირობოდ უნდა დაეკავებინათ. ამ კანონშიც ბევრი კითხვის ნიშანია. ჯერ მარტო ისაა გაუგებარი, ადამიანს “კანონიერი ქურდობა” როგორ უნდა დაუმტკიცოს, მაგრამ კანონი იცნობს ამ ტერმინს. თუმცა რამდენიმე “კანონიერი ქურდი” სწორედ ნაციონალების დროს ისე შემოვიდა საქართველოში და ისე გავიდა ქვეყნიდან, ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამ პირების ჩამონათვალი და საზღვარზე შემოსვლა-გასვლის კონკრეტული დოკუმენტაცია მოვიპოვე. ეს ადამიანები არიან: ანთიმოზ ქუხილაძე, რომელიც წარმოშობით გურიაშია, იგი თვითმფრინავით უკრაინიდან შემოვიდა, 2009 წლის 28 მაისს და ქვეყანა 29 მაისს, მეორე დამეს, სარფის საზღვრიდან დატოვა; კახა ჯანგველაძე, რომელიც 2009 წლის თებერვალში შემოვიდა საქართველოში და უკან, სადახლოს გაემგებინა პუნქტიდან იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ გავიდა; კოსტა ბობოხიძე საქართველოში უკრაინიდან 2009 წლის 9

თებერვალს შემოვიდა, თბილისის აეროპორტით და სარფის გამშვები პუნქტიდან მეორე დღეს, 10 თებერვალს, 12 საათზე გავიდა; უკრაინიდან შემოვიდა ამირან ებრაღიძეც, ასევე 2009 წლის 29 თებერვალს და მეორე დღეს სადახლოს გავლით დატოვა ქვეყანა. ამ ინფორმაციის ნამდვილობაში დარწმუნებული ვარ და მოუწოდებ ხელისუფლებას, მონაცემები ოფიციალურად დადასტუროს. პროკურატურამ კი, ამ ინფორმაციის საფუძველზე, გამოიძიება უნდა დაიწყოს და იმ კონკრეტული მადლჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს, ვინც ე.წ. კანონიერი ქურდებს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევდა. გამოდის, წინა ხელისუფლებას თავად ჰქონდა კავშირი “კრიმინალურ ავტორიტეტებთან”. სააკაშვილი ერთი ხელით ქურდულ სამყაროს ებრძოდა, მაგრამ ამ სამყაროს ზოგიერთ წარმომადგენელთან საკმაოდ ახლო ურთიერთობაც ჰქონდა. სააკაშვილი ბრძოლას მხოლოდ იმას უცხადებდა, ვინც მას არ ემორჩილებოდა. სწორედ ამის გამო დაიჭირეს “კანონიერი ქურდი” “ტარასა”, სხვები კი, რატომღაც ქვეყანაში თავისუფლად დადიოდნენ. არადა, ძველმა ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, მით

უშეგეს, ქუხილაძე, რომელიც ძალიან ცნობილი “ქურდი” და მის შესახებ ინფორმაცია ვანო მერაბიშვილსაც ჰქონდა. გარდა ამისა, დადასტურებულია, რომ ეს ადამიანები უკრაინაში კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდნენ და ამის გამო პასუხისმგებლობაშიც არიან მიცემულნი.

– ეს ყველაფერი დღევანდელ მოვლენებთან რა კავშირშია?
– ახლახან, სააკაშვილი ქუხილაძეს შეხვდა და მას საქართველოში არეულობის მოწყობაში დახმარება სთხოვა. ქურდული სამყაროს ამ წარმომადგენლებს ჩვენი ქვეყნის კრიმინოგენურ მდგომარეობაზეც აქვთ გარკვეული გავლენა და ციხეებში, სადაც დღეს, ვითარება ხელოვნურად იძაბება – ყოფილი მსჯავრდებულები ამბობენ, ადრე გაუპატიურებაზე ვერაფერს ამოიღებდა ხმას და ახლა, პატიმრები ჩინურ მასაჟებს ითხოვენო. მათ ვიღაც აუვლიანებს. ეს “კანონიერი ქურდები” გარეთ ვითარების არევასა და ისე წარმოიქმნაზე მუშაობენ, თითქოს საქართველოში კრიმინოგენური მდგომარეობა გაუარესდა. ამ ყველაფერს გადამოწმება სჭირდება და საქმეში შესაბამისი სტრუქტურებიც უნდა ჩაერთოს. ყველაფერს ნაციონალები და ყოფილი მადლჩინოსნები კურირებენ.

დია ფირილი ბატონ ანზორ ბაბუხაძის!



ბატონო ანზორ, ყურადღებით გავცვანით თქვენს წიგნს „საქართველო არის ესე“, მაგრამ, პირდაპირ უნდა ვითხროთ, ძალზე ბუნდოვანია და გაუგებარია, ის, თუ რას მოგვცემს თქვენი იდეის ფორმალური ტექსტი, მარამ ლორთქიფანიძის მხარდაჭერამ გამომარკვია, რა მიზანი აქვს ამ იდეის რეალიზებას, რადგან ქნ მარიამის დაუოკებელი სურვილია სამარადისოდ წაიშალოს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იბერიული კვალი, რომელიც განსაზღვრავს ე.წ. ქართველი ერის ეროვნულობას.

მთავარი ის კი არ არის „საქართველო“ უწოდოს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ერმა, არამედ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია რომ შევისწავლოთ, რატომ გვიწოდებენ სხვადასხვა ერები სხვადასხვა სახელს, რამეთუ ამ სხვადასხვა სახელებში ჩვენი ისტორიის ნაწილი დევს.

გაურკვეველია, ჩვენი ერის ისტორიით დაინტერესებული პირი, რატომ არ დაინტერესდები, რა მიზეზით თქვა ერთ-ერთი დარგობრივი აკადემიის სხდომაზე თქვენთვის არასასურველმა მეცნიერმა (როგორც ვეტყობათ, მას თქვენ მეცნიერად არც თვლით, რადგან სიტყვა მეცნიერმა ბრტყალად გამოიყენა) „დროა საქართველოს დაუბრუნდეს თავისი ისტორიული სახელი. სამწუხაროდ, ჩვენ ამდენი საუკუნე ვითმენთ, რომ ჩვენს ქვეყანას „საქართველო“ ჰქვია. მოვა დრო, როცა ჩვენი მომავალი თაობა, შეიღებები და შეიღი-იშვილები ამას აღარ მითითებენ და დააყენებენ საკითხს, რომ თავიანთ ქვეყანას, ბოლოს და ბოლოს, დაუბრუნდეს მისი ისტორიული სახელი“.

მაინტერესებს ვინ იყო ის მეცნიერი, ნამდვილი პატრიოტი ის ყოფილა. თქვენ კიდევ, ბატონო ანზორ, „მოყვარეს პირში უძრავს“ პრინციპით, პირდაპირ უნდა ვითხროთ: ან გადაგვარებული, ანტიეროვნული მეცნიერების მიერ მოსყიდული ბრძანდებით, ან კიდევ, როგორც ე.წ. მეგრული (იბერიული) ენისა და ისტორიისადმი პირმავედ მყოფი ყველა მეცნიერი, ვერც თქვენ „აცნობიერებთ“, რას ნიშნავს „ქართი“ და რას ნიშნავს „იბერი“! უბრალოდ წარმოუდგენელია, ჭეშმარიტი მეცნიერი არ დაინტერესებულიყო ამ საკითხით და ბუერი ეცადა გამოეყვანა, რას ნიშნავს ეთნიკური სახელწოდება „ქართი“, მაგრამ ბოლომდე არცერთი არ მისულა. ალბათ, ვერცხვებიან ჭეშმარიტების გაცხადებას.

აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის I ტომში 264-ე, თუ 284-ე გვერდზე აკად. ანდრია აფაქიძის (გარდაიცვალა ამ გამოცემაზე 10 წლით ადრე) სახელით ასეთი რამ ჩაწერა: „იბერია ქართლის ელნიური სახელწოდებაა“, თორემ ეროვნულ ცნობიერებაში ყოველთვის „ქართლი“ დომინირებდა (ინტერპრეტაცია ჩემია, კ.ფ.). სინამდვილეში კი იბერი და იბერია თვითსახელწოდებაა და მისი ეტიმოლოგია მხოლოდ მეგრული (იბერიული) ენით იხსნება. ხოლო ბერძნულ ბიბლიაში არა იბერი, არამედ თობელი წერია. ძველბერძნულ და რომაულ ლიტერატურულ წყაროებში კი მოხსენიებულია „ტიბარი“, „ტიბარი“ და „ტიბერი“. ეს უკანასკნელი ნაწარმოებია თვითსახელწოდებიდან „თობერი“ (→იბერი). ასურული „თობალი“, ბერძნული „თობელი“, ებრაული „თუბალი“, ბერძნულ-რომაული „ტიბარი“, „ტიბარი“ და „ტიბერი“, ქართული „თუბალი“ (იხ. ისტორიკოს ნანა ხაზარაძის სადისერტაციო ნაწარმოები) ნაწარმოებია იბერიული ძირისეული ფორმიდან თ, ბ, რ., რაც მეგრულ (იბერიულ) ენაზე სიტყვა-სიტყვით ნიშნავს [უზენაეს] ნათელთან კავშირი არის“, ანუ „უზენაეს ნათელთან კავშირის მქონე“-ს, უფრო გამართულად, „[უზენაეს]

ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს“. ასევე, მეგრული (იბერიული) ენით იხსნება ეროვნული წარმოშობის სიტყვები სინქრონიულ-დიაქრონიულ (ნასახვა-განვითარების) დონეზე, საერთო სალიტერატურო ე.წ. ქართულ ენაზე ვერა. ამიტომ ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის არმცოდნე ე.წ. ქართველი, რამდენადაც ბრწყინვალე მოქართული და ორატორი არ იყოს იგი, ნუ დაიტრიალებს ქართული ენა კარგად ვიცოდ. მაგრამ ქნ მარიამ ლორთქიფანიძის მიზანი და ქმედება, ნებით თუ უნებლიედ, მიმართულია ქართველი ერის ეროვნულობის განმსაზღვრელი მეგრული (იბერიული) კვალის ამოძიკვა-წაშლისაკენ, რაც ე.წ. ქართველი ერის სასიკვდილო განაჩენიცაა.

რატომ? მოდი გავარკვიოთ. ალბათ, დაგვეთანხმებით, ენა მთელი ისტორიაა ერისა. ენის ძირფესვის გაუცხოება, ანუ დაკნინება-წაშლა სასიკვდილო განაჩენია ერისათვის. ქნ მარიამ ლორთქიფანიძისთანა მეცნიერთა წყალობით ე.წ. ქართველი ერი ორიენტირებულია ეროვნული ენერჯის გამოცლისაკენ (იხ. ჟღერი „ისტორიული მემკვიდრეობა“ №8, 2014 წ. ვერონტი ქიქოძე: ენა და ეროვნული ენერჯია). რატომ ეროვნული ენერჯის გამოცლისაკენ?

ალბათ მოგვხსენებთ, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკის 66%-ზე მეტი უცხოური წარმოშობისაა (აკაკი შანიძის გამოთვლით), ხოლო 34%-მდე ეროვნული იბერიული წარმოშობისა. ეს უცხოური ენებია, ძირითადად, სპარსული, ელინური, არმენული, ლათინური, არაბული და თურქული. მაგრამ მეგრულს არმცოდნე თანამედროვე ქართველი მეცნიერებისთვისაც კი მეგრული (იბერიული) ენა ისევე უცხოა, როგორც აქ ჩამოთვლილი უცხო ენები, რომლებსაც საზღვარგარეთ თავიანთი სამშობლოები გააჩნიათ.

სინამდვილეში კი ეროვნული, იბერიული წარმოშობის ლექსიკა და გრამატიკა განსაზღვრულია ეროვნულობისა, რადგან სალიტერატურო ენის ლექსიკის 34%-მდე იბერიული წარმოშობისა, გრამატიკა კი, თითქმის, იბერიული დარჩა. იბერიულ გრამატიკულ ბრძედში გამოტარებული უცხო ენათა ლექსიკა უცხოურად არც კი ეჩვენება ენათმეცნიერებაში სიდრამსეულად ჩაუხუდავ ე.წ. ქართველს. ამდენად, იბერიული ენის წილი ჩვენს საერთო სალიტერატურო ენაში არანაკლებ 70%-ია, თუ მეტი არა. იბერიული ენა ეროვნული, მშობლიური და ადამიანური იმიტომაცაა, რომ არამართ ეროვნული წარმოშობის ლექსიკის, არამედ ბევრ უცხოური ლექსიკის ეტიმოლოგიასაც ძირისძირამდე ხსნის. მაგრამ, როცა ძირისეულ, პროტოქართულ, იგივე, ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენას ისე გააუცხოებთ, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი უცხო ენებია, ან ქართული ენის დიალექტად ჩაუვლებთ და დაეკანონებთ, რაზეც ოცნებობენ მ. ლორთქიფანიძე, გ. ფურცაიაძე, ა. ჯაფარიძე და სხვები, პროტოქართული ენა განუსაზღვრელი და, შესაბამისად, ქართველი ერის გაურკვეველი წარმომავლობის აღმოჩნდება, რადგანაც ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა უცხო ენათა 100%-იანი კონგლომერატი, ანუ მთლიანად უცხო ენათა ნარევი ენა გამოვა, ხოლო ე.წ. ქართველი ერი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ნაკრები, რომლებსაც თავიანთი სამშობლოები გააჩნიათ საზღვარგარეთ. ეს კი საკმაო საფუძველს აძლევს აგრესიულად განწყობილ მეზობელ ერებს დაუფლონ ძირძველ და მშობლიურ იბერიულ მიწებს.

უცხველია, ამიტომ თქვა ავადსახსენებელმა მიხეილ სუსლოვმა სკკპ ცკ-ის საიდუმლო სხდომაზე 1961 წელს:

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშავოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.“

შორეულ ადმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსახლება აღუვლიდათ შავი ზღვის საზღვრო ტერიტორია, სადაც როგორც მოგვხსენებთ,

ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დაეწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავადვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძობა. დასავლეთ საქართველო უნდა დაეუპირისპიროთ ადმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებელი ფუნქცია უნდა შეასრულოთ.

პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დაეარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს (იხ. პარიზის ეროვნული საბჭოს ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, 2003 წლის 26 მაისი).

როგორ ფიქრობთ, ბატონო ანზორ, რომელი ჭკუათმოყვანილ მეზობელი ქვეყანა არ გამოიყენებს ჩვენს სიბრძივეს, როცა ჩვენ თვითონ ვებრძვით საკუთარ ფესვებს?

და ასეთ ვითარებაში, გასაკვირია განა, რომ ამერიკის საგოგრაფიო საზოგადოებამ წიგნში „მსოფლიოს ხალხები“, მსოფლიოს 5000 ეთნიკური ჯგუფიდან 222 კულტურული ერების სიაში კავკასიიდან შეიტანა ჩინები, ინგუშები, სომხები და აზერბაიჯანელები, ხოლო ქართველები არა?

იბერისა და იბერიას სახელით რომ იწოდებოდნენ დღეს ჩვენი ერი და ქვეყანა, გაბედავდნენ კულტურულ ერებს შორის არ მოგვეხსენიებინეთ? მაგრამ, როცა „ქართლს“ სახელმწიფოებრიობა 888, თუ 899 წლამდე არასოდეს ჰქონია, ხოლო იბერებს, ჩვენ ქართვეს გვიწოდებდნენ უცხოელეული, თორემ ეროვნულ ცნობიერებაში ასეთი ეთნიკური სახელწოდება არასოდეს არსებულაო, რამდენიც არ ვიყვიროთ, საკუთარი ხალხისა და თავის მოტყუილება არ იქნება?

დაფიქრდით, ბატონო ანზორ, და ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ, განსაჯეთ, მსოფლიოში ყველა ერმა „საქართველო“ რომ უწოდოს ჩვენს ქვეყანას ის სჯობია, თუ აღუვადგინოთ მისი ძირძველი ისტორიული სახელი „იბერი“, და „იბერია“, რომელიც უზენაეს შემოქმედთან მოკავშირედ ყოფიერს ნიშნავს? დაუშუაოთ, თქვენ არ გეხმობ, რას ნიშნავს „ქართი“ და რასთან მიმართებაში იხმარება ეს ტერმინი, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, ვისაც გვემის, რომ ტერმინი „ქართი“ შეეერთებს ნიშნავს და მხოლოდ და მხოლოდ ცხოველებთან მიმართებაში იხმარება? მაგ., იტყვიან: „ჩქინი სოფელიში ჯოგის მეზობელი სოფელიში ჯოგი ქართი“ (ჩვენი სოფლის ჯოგს მეზობელი სოფლის ჯოგი შეერთა), ან კიდევ, „ჯოლორფიცადლო ქართის დო აკოტკუმეს ართიანი“ (ძაღვებივით დაერივნე და დაჭამეს ერთ-მანეთი). ადამიანებზე კი იტყვიან: „ქაქათ“, (შეერთა, გაერთიანდა).

როგორ ფიქრობთ, ბატონო ანზორ, თუ მსოფლიოში ყველა ერი „საქართველოს“ სახელით მოგვისხსენიებს, ერთ მუჭად შევიკვრებით და გადავრჩებით? არა! დღევანდელ ეგზომ გათითოკაცებულ და მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისათვის მებრძოლ ე.წ. ქართველ ერს ეთნიკური სახელწოდება ვერ გადაგვარჩენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი კი არა, იბერი გვერქვა ათასწლეულების განმავლობაში, რომელიც ბევრად სასიამოვნოდ ჟღერს მათთვის მანინც, ვისაც ამ ტერმინების მნიშვნელობანი გვესმის, მაგრამ სახელწოდებამ გვიშველა რამე?

მართალია, უმწვემსო, სხვადასხვა სახის ცხოველებით უპატრონოდ მიმოფანტულ და მხოლოდ თვითგადარჩენისათვის მოფიქრალ ხალხს, სრულიად ზედგამოტრიალი, დამსახურებული და სადაც სახელი გვექვია, მაგრამ ჩვენთვის, ვისაც ამ სახელის მნიშვნელობანი კარგად გვესმის, ისევე მტკივნეული იქნება სხვებმაც რომ ეს გვიწოდონ, როგორც მახინჯისთვისაა

მტკივნეული „მახინჯო“-ო, რომ უძახონ. თქვენთვის იმ ვიდაც „მეცნიერმა“, სწორედ, ამიტომ თქვა: „დროა საქართველოს დაუბრუნდეს თავისი ისტორიული სახელი. სამწუხაროდ, ჩვენ ამდენი საუკუნე ვითმენთ, რომ ჩვენს ქვეყანას „საქართველო“ ჰქვია“-ო. მაგრამ იმ გულნატკენი მეცნიერისა და მისი მსგავსი მამულიშვილების საყურადღებოდ მინდა განვაცხადო: – დღევანდელ ვითარებაში ისტორიული სახელების იბერისა და იბერიის აღდგენა, ისევე თავის მოტყუილება იქნება, როგორი თავის მოტყუილებაცაა ქართი და „საქართველო“ გვერქვა ყოველთვისო, რომ ვიძახოთ, მაგრამ, ჩვენ, დღევანდელი ე.წ. ქართველი ერი არანაირად არ ვართ ღირსი იბერისა და იბერიის სახელის ტარებისა.

რატომაა სასურველი ჩვენს ქვეყანას აღუდგეს თავისი ისტორიული სახელი იბერია? რატომ გვერქვა იბერი (←თ, ბ, რ,), რაც უზენაეს ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს ნიშნავს?

თუ გაინტერესებთ, ჩვენს შეხედულებას გაგიზიარებთ:

სამეტყველო ბეგრები, ორფეხა ველურ ცხოველებს, უზენაესი შემოქმედის ფიზიკურმა გამოვლინებამ, ბუნებამ გვიკარნახა და ბუნების მიერ გაღებულ ბეგრებზე ხმაბაძეთ მივიღეთ ისინი. ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენაში ბუნების მიერ ნაკარნახევ თანხმობან ბეგრა-სიტყვებს, ერთადერთს დედამწიფე, გააჩნიათ სრული სიტყვის მნიშვნელობანი და ბევრ მათგანს რამდენიმე ომონიმიც გააჩნია. ამ მნიშვნელობაში ასახულია ყველა ის თვისება, რომლებმაც ორფეხა ველური ცხოველი ადამიანად აქცია, რომელ თვისებათა რაციონალური მართვით დეთის ხატის, პოტენციური ღმერთის რეალობაში განხორციელება შესაძლებელია.

როცა ჩვენს უძველეს წინაპრებს ამ ღვთიური ნაწიქრის განუსაზღვრელი სიდიადე ჰქონდა შეგნებულ და გათავისებულ „იბერიული ცივილიზაცია ერცველებოდა პირინეიდან ინდოეთამდე“ (ყველა დროის უდიდესი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის დასკვნა) ტერიტორიაზე და ჰქონდათ „ყვევებული კულტურა“ (ნიკო მარის შეფასება). თავდაცვითი ომები კი, მაგრამ დაპყრობითი ომები, რომ ეწარმოებინოთ იბერებს, ისტორიაში ცნობილი არაა. უცხველია, ბუნებისაგან ადამიანად ჩამოყალიბებულ ორფეხა ველური ცხოველის მიერ ღვთიური (ბუნებრივი) კანონ-ზომიერებების თანდათანობით შეცნობამ და ამ კანონზომიერებებთან პარმიულობით თანაცხოვრებამ განაპირობა არნახული სულიერი აღმავლობა და „ყვევებული კულტურა“. სწორედ, ამიტომ ერქვათ მათ უზენაეს ნათელთან მოკავშირედ ყოფიერი. უზენაეს შემოქმედთან კავშირში მყოფი საზოგადოება, უცხველია, უძველესი იქნება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ღვთით ბოძებულ ნობათის დავიწყებამ და ღვთიური კანონ-ზომიერებების უგულვებელყოფამ გამოგვაცალა ეროვნული ენერჯია. სწორედ, სულიერი დაცემის შედეგად დღევანდელი სამარცხვინო მდგომარეობა და ველური ცხოვრების წესისკენ მიბრუნება.

ერთ პარმიუობასაც მინდა გავუხვავა ხაზი. რომ ვიტრიაბოთ, ასეთი დიდი წინაპრების მემკვიდრეები ვართო, არაფერს მოგვცემს. პირიქით, დიდად სამარცხვინოა იბერთა მემკვიდრენი დღევანდელ მდგომარეობაში, რომ ვიმყოფებით. მაგრამ „ფარხმლის“ დაყრის უფლებაც არ გვაქვს.

მაშ, რა გზას დავადგოთ?

ჩვენი აზრით, ჩვენი გადარჩენა შეუძლია, არა ჩვენი ქვეყნის სახელად „საქართველოს“ მთელ მსოფლიოში დაკანონებას, არამედ უზენაეს ნათელთან დამაკავშირებელი ზემოთ აღნიშნული ფესვების ჩვენს ცნობიერებაში აღდგენას და რეალიზებას, რაც ყველაზე რაციონალური საშუალება იქნება ეროვნული ენერჯის მოსაკრებლად, და, შესაბამისად, ე.წ. ქართველი ერის ერთ მუჭად შესაკერვლად. მხოლოდ ამ იდეის რეალიზაციის შემდეგ გვექნება მორალური უფლება ჩვენს ერს და ქვეყანას ადგუდგინოთ ისტორიული სახელწოდებანი იბერი და იბერია.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაურგძნობს მედვა ჭითანავს და რევაზ ბაღათურას მამის და სიმამრის ლევან ჭითანავას გარდაცვალების გამო

კუპური ფიფია, „ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი



დიდი ბაკური ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი

ქართულ ასომთავრულ ანბანს ქრისტიანული ეპოქის სწორუბოვარ ქმნილებად აცხადებდნენ თავის დროზე აკადემიკოსები კაკეკელიძე და ა.შანიძე, ახლო წარსულში კი - პროფ. ზ.სარჯველაძე. ჩვენს დროში იმავე პოზიციას იკავებდა აკად. თ.გამყრელიძე, მწერალი თ.ჩხენკელი და სხვ. მათი იმედი საბოლოოდ გამართლდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გვსურს აღვნიშნოთ ის, რომ მოცემული პრობლემის გადაჭრის საქმეში გადაწყვეტილი როლი შეასრულა თ.გამყრელიძის ფუნდამენტურმა ნაშრომმა: «წერილის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა» (1989/90 წ.). მან ნებისმიერ შემთხვევაში დაადასტურა ჩვენი წინამდებარე მონოგრაფიის, შეუქმნა მას სავალდებულოდ აუცილებელი თეორიული ენათმეცნიერული საფუძველი. ამასთანავე, კვლავ და კვლავ გვსურს გავიმეოროთ ჩვენი ადრე ერთხელ უკვე გულწრფელად ნათქვამი სიტყვები: «...წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ მიღებული შედეგობრივი დასკვნები, არსებითად, ყველა იმ მეცნიერისა თუ მკვლევარის დამსახურებაა, ვისაც კი ოდესმე ქართული ანბანის განვითარების პრობლემის გამოკვლევა უწარმოებია».

არ არის ის, რომ ქართული ასომთავრული IV ს-მდე ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა?...

თაზო VI

დიდი ბაკური - შტრიხები პიროვნული პორტრეტისათვის. ცხოვრება-მოღვაწეობის მოკლე მატანე «ქებასა მართლისასა ხსენებელი ვრნი, რამეთუ უკუდავება არს სახსენებელი მისი, რამეთუ ღმრთისა მიერცა საცნაურ არიან და კაცთა მიერცა და სათნო ღმრთის არს სული მისი».

წიგნი სიბრძნისა - 4,1 «ნეტარ არს კაცი, რომელმან პოვა სიბრძნე» იგავთა - 3,13

დიდი ბაკურის პიროვნულ პორტრეტზე სრული წარმოდგენის შექმნა მომავლის საქმეა. წინამდებარე ნაშრომში მკითხველს საშუალება აქვს დასაყრდენი გონების თვალთ ეხილა ამ, მართლაც განუყოფელი და ყველა დროის ქართველთათვის სასიქადლო მოღვაწის ღირსშესანიშნავი ხასის მრავალფეროვნება: დიდი ბაკური - ცხამატიკოსი და ენათმეცნიერი (ფლობს ბერძნულს, სპარსულს, ასურულს...); დიდი ბაკური - ფილოსოფოსი და მჭერმეტყველი; დიდი ბაკური - მათემატიკოსი, საეკლესიო პასქალისტი და ქრონოლოგი; დიდი ბაკური - ეროვნული დამწერლობის შემოქმედი და მწიგნობარ-მთარგმნელი; დიდი ბაკური - ასკეტურად თავმდაბალი და ღრმად-მორწმუნე ქრისტიანი; დიდი ბაკური - ქრისტიანი მისტიკოსი; დიდი ბაკური - ხელმწიფე, საკუთარი სათნოებებითა და ცხოვრების ქრისტიანული წესით ქვეშევრდომთათვის მაგალითის მიძღვემა; დიდი ბაკური - ქრისტიანობის მქადაგებელი და წარმართთა ქრისტეს რჯულზე მოქცეული («ახალა ნინო») მონარქი; დიდი ბაკური - ციხე-ტაძრების, მონასტრებისა და გლახაკთა თავშესაფარი სახლების მამულებელი; დიდი ბაკური - წმ. ნინო კაბადოკიელის მოციქულებრივი ღვაწლის პროპაგანდისტი უცხოეთში; დიდი ბაკური - ფრივიდოუსის ბრძოლის (394 წ.) გმირი სარდალი; დიდი ბაკური - კაცი, «რომელიც სხეულითაც ბრწინავს და სულიც მას ასეთივე აქვს», «სამართლიანი», «ზომიერი», «ვენება-სურვილებზე მბრძანებელი», «ბრძენი», «უშიშარი», «ბუნებრივი ნიჭით შემკული» (ლიბანიოსი); დიდი ბაკური - კაცი, რომელიც «უადრესად ზრუნავდა როგორც მორწმუნობაზე, ისე ჭეშმარიტებაზე» (რუფინუს აკვილელი); დიდი ბაკური - კაცი უცხო ყოველგვარი სიბოროტისათვის და ამავე დროს გაწვრთნილი საომარ საქმეებში, «სარდალთა შორის უმამაცესი» (ზოსიმე); დიდი ბაკური - «კაცი ყოველად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე სულიერად ხორციელი სიკეთით» (გიორგი ამარტლი); დიდი ბაკური - ქრისტეს უშიშრად აღმსარებელი მხედარი (თანე რუფინუსი), და კიდევ, დიდი ბაკური - ვერანოსა და ოჯახის მისაბაძი, საამაყო წინამძღოლი...

ახსილის კედლის მოზაიკურ ფრესკაზე (VI ს-ის შუახანები) გამოსახული იმპერატორ იუსტინიანეს თავსაბურავთან, რაც დავათის რელიეფების შექმნას უნდა ათარიღებდეს არაუგვიანეს VI საუკუნით. დიდი ბაკურის სახიერი პორტრეტის ადგენაში, ალბათ, გარკვეულ დახმარებას გაავსევს მისი ღვიძლი შვილიშვილის - პეტრე იბერის ჩვენამდე მოღწეული მინიატურაც; შვილიშვილის სახის ნაკეთებში პაპისეული გენის შუქიც უნდა ჭიატობდეს...

გამომდინარე იქედან, რომ წინამდებარე ნაშრომი, როგორც ნებისმიერი სხვა სამეცნიერო შრომა, ატარებს კვლევით ხასიათს, ცხადია, მისი შინაარსი რამდენადმე რთული აღსაქმელი იქნება რიგითი მკითხველისათვის, რომელთა რიცხვი განუზომლად მეტია, ვიდრე სპეციალისტთა. ამიტომ, გაითვალისწინეთ რა აღნიშნული გარემოება, საჭიროდ გვცნიათ დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი მომენტების და ზოგადად, წინამდებარე ნაშრომის მოკლე შინაარსის დასკვნების ნაცვლად ქვემოთ გადმოცემა:

დიდი ბაკური დაიბადა 350 წლის მახლობლად. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად მის უახლოეს წინაპართა რიგებში იყვნენ ქართლისა და სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფეები - მირიანი (პაპის მამა) და თრდატ (ბების მამა), აგრეთვე, მირიანის მომდევნო ქართველი მეფეები - ბაკურ I (პაპა დედის ხაზით), რეკ/მირიანი (პაპა მამის ხაზით), თრდატ/საურმაგი (მამა) და წმ. ნინო კაბადოკიელს დამოწავებული დედოფალი სალომე «უჯარმელი» (ბებია მამის ხაზით). დიდ ბაკურს ჰყავდა უმცროსი ძმა - არჩილი, რომელსაც 423-438 წწ-ში აგრეთვე მოუწია ქართლის სამეფო ტახტზე ყოფნა.

დიდი ბაკურმა ყრმობის წლები გაატარა მამამუხის, ქართლის ერთ-ერთი, ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობი სეფეწულის სახლში; შემდგომში მან მიტოვებულ ჯერ კახეთის მთავარ ქალაქ უჯარმაში, მეფე კი - კუხეთის ქალაქ რუსთავეში დაჰყო მშობლებთან ერთად. 369 წელს იბერიაში შექმნილი მიძიმე პოლიტიკური ვითარების გამო მეფისწული ბაკური და სამეფო გვარის (ფარნავაზიანების) ე.წ. რეზინათა შტოს წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ტოვებს სამშობლოს და ბიზანტიაში მიემგზავრება.

ჭაბუკი მეფისწული რომის იმპერატორის იმპერატორის - ვალენტის პირად გვარდასა იქნა ჩარიცხული. 378 წლის 9 აგვისტოს ქალაქ ადრიანოპოლთან (ბალკანეთის ნ.-კ.) ვესტ-გოთების წინააღმდეგ გამართულ სისხლისმღვრელ შეტაკებაში დიდი ბაკური მონაწილეობას იღებდა როგორც ფაროსანთა (ე.წ. «სკუტარიების») რაზმის მეთაური. 379 წელს რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის (ბიზანტია) მმართველი ხელმა ესპანელი წარჩინებულის შვილი და მანამდე რომაელთა ჯარის ერთ-ერთი სარდალთაგანი - თეოდოსი, შემდგომში «დიდად» წოდებული. ამ კეთილმორწმუნე, ქრისტიანობის მოამბე მეფესთან ბაკური ახერხებს კიდევ უფრო მეტად დაახლოვებას, ვიდრე იმპერიის წინამორბედ ხელისუფლებთან. იმპერატორი თეოდოსი I თავის ერთგულ თანამებრძოლს, იბერიელ მეფისწულს 80-იანი წლების დასაწყისში პალესტინის სახლგვრის სარდალად ამწვეს. ამ დროიდან ბაკური ბინას ქალაქ იერუსალიმში იღებს. აქ იგი ტრიალებს იმ დროის გამორჩენილი საეკლესიო მოღვაწეების წრეში. კერძოდ, საეკლესიო მოღვაწეობის მიზანმიმართულად დაახლოვდა პაპისეულს, რომელსაც იმპერატორმა პაპისეულსა და იბერიელ მეფისწულს შორის მთავარეპისკოპოსთან (350-387 წწ.); ბეთლემში 386 წლიდან დამკვიდრებულ ნეტარ იერონიმესთან (340-421/920 წწ.), რომელმაც სწორედ განსახილველ პერიოდში ჩამოაყალიბა «ხალდართო წერილის» კანონიკური ლათინური რედაქცია - ე.წ. «ფულგატა»; წმ. თანე ოქროპირთან (347-407 წწ.), რომელიც ბაკურის ქ. ანტიოქიაში სტუმრობისას (392 წ.) პრესვიტერის (ხუცესის) ხარისხში მოღვაწეობდა და თანამოქალაქეთა შორის საოცარი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა; ცნობილ საეკლესიო მწერლებთან: აკვილელ ხუცეს ტურანისუს რუფინუსთან (345-410 წწ.) და იმჟამად პალესტინის ეპსკარის ეპისკოპოსად მყოფ გელასიუსთან (+395 წ.), რომლებსაც ის მოუთხრობდა წმ. ნინოს მიერ იბერიის ქრისტიანობაზე მოქცევის ამბავს. პირველდასახლებულ ნეტარი იერონიმეს ძველი მეგობარი გახლდათ, მეორე კი - წმ. კირილე იერუსალიმელის ღვიძლი დისწული და ბიძის მსგავსად მართლმადიდებ-

ბლობისათვის ფრიად დამაშვრალი პიროვნება. ოდნავ მოგვიანებით (394 წლის სექტემბერში) დიდ ბაკურს შესაძლებლობა მიეცა პირადად შეხვედროდა იმპერატორ თეოდოსი I დიდის სულიერ მოძღვარს, დასავლეთის ეკლესიის გამორჩენილ საეკლესიო მოღვაწეს - წმ. ამბროსი მედიოლანელსაც (340-397 წწ.). ბაკურს, როგორც რომის იმპერიის სამხედრო მოხელეს, 380-იანი წლების პირველ ნახევარში მოუხდა ამბოხებული არაბი ტომების (სარკინოზები) წინააღმდეგ პალესტინის მადლობებზე წარმოებულ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობის მიღება, რა დროსაც მან ბრწყინვალე გამარჯვებას მიიღწია. იბერიელი მეფისწულის ნაცნობების წრეში იხსენიება ცნობილი სირიელი ნეოპლატონიკოსი სოფისტი, თავის დროზე წმ. მამების - თანე ოქროპირის, ბასილი დიდი კესარიელისა (331-379 წწ.) და გრიგოლ ღმრთისმეტყველის, ანუ ნახიანხელის (320-389 წწ.) მასწავლებელი, ლიბანიოსი (314-393 წწ.). საერთოდ, ყველას, ვისაც კი ოდესმე ჰქონია ქართველ მეფისწულთან ახლო ურთიერთობის ბედნიერება, ბაკური ანცეფრებდა მისი საოცარი ღმრთისმომშობით, კაცთმყოფარობით, თანდაყოლილი ბუნებრივი ნიჭითა და შესაშური გონებრივი მონაცემებით, კომუნიკაბელურობით, აგრეთვე, საბრძოლო ხელოვნების მადლდონეუვ ფლობითა და უშიშარი ბუნებით. ყველაფერ ამას თან ერთვის ბაკურის უხადო გარეგნობისა და ასკეტური თავმდაბლობის ფაქტიც. განსახილველ პერიოდშივე ქალაქ ბეთლემის მახლობლად, იორდანის უდაბნოში ბაკურის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქართველთა სამონასტრო კურას, რომელიც მოგვიანებით (V ს-ის 30-40-იან წწ-ში) მისმა შვილიშვილმა - პეტრე იბერმა განახილდა. 387 წლის ახლოს დიდმა ბაკურმა და მისმა სიყრმის მეგობარმა, სეფეწულმა გრი-ორმიზმა ბერძნული ანბანის საფუძველზე ჩამოაყალიბეს ქართული ასომთავრული დამწერლობა, რომელსაც მათ იმედგამოდან საეკლესიო კალენდარული ფუნქციაც დააკისრეს. მათ მიერ შემუშავებული და ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნების რიგზე მორგებული წელთაღრიცხვის ორიგინალური სისტემა აფიქსირებდა დროის სიმბოლურ სივრცეს სამეფოს შექმნის მისტიური დღიდან ქრისტეს მოსალოდნელ «მეორედ მოსვლამდე»; უწვევდა დღისმშობლის ხარების, იესო ქრისტეს შობის, ჯვარცმისა და ღვთაებრივი აღდგომის სიმბოლურ თარიღებს. მოსალოდნელი «მეორედ მოსვლის» წინ აღდგომა-დღის უკანასკნელად აღნიშვნა ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვით დადებული იყო «დასაბამელად» 5999 წლის 25 მარტის კვირა-ღეღეზე, რა დროსაც ერთმანეთს ემთხვეოდა ორი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული - ღვთისმშობლის ხარებისა და უფლის ბრწყინვალე აღდგომისა (ჩვენში ამას ეწოდებოდა «საუფლო პასექი», ბერძნულად კი - «კირიოპასხა»). «ასომთავრულს» გააჩნდა უნიკალური თვისება, იგი «მეტყველებდა» როგორც ასოების, ისე მათი შესატყვისი რიცხვების ერთობლივად. ამისათვის ბაკურმა და გრი-ორმიზმა მარჯვედ გამოიყენეს რიცხვული მისტიკის მონაცემები, მათ მიერვე შექმნილი კრიპტოგრაფიული ანბანის ე.წ. «ანჯანური» სისტემა და სხვ. ახალშექმნილი ანბანით, როგორც ეს წინასწარვე იყო მისი ავტორების მიერ გამოხატული, შეუდგენ ძველი და ახლი აღთქმის წიგნების ქართულ ენაზე გადმოცემას. IV ს-ის მიწურულისათვის უკვე არსებობდა საეკლესიო ლიტურგიის მშობლიურ ენაზე წარმართვისათვის სავალდებულოდ აუცილებელი კანონიკური ქრისტიანული ლიტურგიის ძველების (ფხალმუნი, სახარებები...) პირველი ქართული თარგმანები.

388 წელს ბაკურს მოუწია მონაწილეობის მიღება ამბოხებული მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ თეოდოსი I-ის მიერ წარმოებულ ომში, ხოლო 394 წლის 6 სექტემბერს გამართული გადამწყვეტი ბრძოლის დროს მას, როგორც თეოდოსი დიდის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ და ომებში ნაცად სარდალს, დაევალა ეგვიპტოს ტირანის დაშტრის ცენტრზე იერიშის მიტანა, რაც ქართველმა მეფისწულმა პირველი შემდგომი თანახმობით განახორციელა კიდევ, მიადწია ლამის თვით ეგვიპტოს ტირანამდე, შეიტანა არეულობა მეტოქის ჯარის რიგებში და საბოლოოდ ცხარე და სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად გამარჯვება კეთილმსახური იმპერატორის - თეოდოსი დიდის მომხრეებს დარჩათ.

ბასიპ ხუტცილაშა, (დასასრული შემდეგ ნომერში)

სახალხო მოძრაობა "სამშობლო" ზუგდიდის ორგანიზაცია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 83 წლის ასაკში გარდაიცვალა შესანიშნავი ზუგდიდელი, სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტი ედიშერ არღვლიანი და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

54 წელიწადში გადასულ ჩასული ეპოქა...

2015 წლის 29 მარტს ლავრენტი ბერიას დაბადებიდან 116 წელი უმსრულდება



ექვანიანობის სულისკვეთება, რითაც ფაუსტმა მოწამლა ჩვენი სამყარო, ზოგჯერ სასარგებლოც კი არის ადამიანებისათვის, რადგან ეს ეჭვი ხშირად ჭეშმარიტებისადმი მუდმივად ღრმად აღმოვაჩინებს სოფელს მათ, "ავტორიტეტული" ისტორიკოსებისა და მკვლევარების მიერ საზოგადოებისათვის, "მადლიდან", თითქოს "შეუვალ ფაქტებად" მიწოდებულ "კომპეტენტურ" აზრში. სწორედ ამ "კლდესავით" მყარ არგუმენტებში პოეზიობენ ეს დაუდგომელი ადამიანები იმ დროისთვის შეუსაბამოებს, რაც მათ სრულ საფუძველს აძლევს ეჭვის ქვეშ დააყენონ ქვეყნის ისტორიის საკმაოდ დიდი მონაკვეთი.

ზოგჯერ არსებულის ეჭვის ქვეშ დაყენება და მისი იმიჯის შეცვლა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ახლის აღმოჩენა და დამკვიდრება, მაგრამ ნიჭი და შრომისმოყვარეობა მაინც თავისას აკეთებს და ისტორიაც თავისი სვლით მიიწვევს წინ! ჩემს მიერ ამას წინათ თარგმნილ და გამოცემულ სერგეი კრემლიოვის წიგნში – "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" – არის ასეთი ფრაზა: "ისტორია არ იწერება, ისტორია იქმნება!" სრული ჭეშმარიტებაა, რადგან ისტორიაში ჩაწერილი კოლეუმის მიერ აღმოჩენილი და ინდოეთად წოდებული მიწა რომ ამერიკის კონტინენტი ყოფილა, ეს საქმით დადასტურდა ამერიკო ვესპუჩიმ და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ისტორია არ იწერება – ისტორია იქმნება!

არ არსებობს რუსეთის მმართველობის ისტორიაში პიროვნება, რომლის თაობაზეც ისე მკვეთრად იყოს გამოხატული ერთმანეთისაგან დადებითი და უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი, როგორც ეს ბერიას შემთხვევაშია. დღეს რუსეთში აღარავინ მოიხსენიებს დადებით კონტექსტში ხრუშჩოვს, ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნომირის, გორბანოვის, ელცინს... ბერიას თაობაზე კი, მისი მოკვლისთანავე გამოიჭნა ერთმანეთისაგან ეს ორი მანქანებელი და დღეს უკვე მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც რუსეთის ტრადიციულ მიწინავე ბერიას ლიკვიდაციას ავანტურისტ ხრუშჩოვისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მიერ.

დაიხს, დღეს ხრუშჩოვს, ბრეჟნევის და რუსეთის სხვა მომდევნო მმართველთა სახელებს აღარავინ ახსენებს, რადგან სამშობლოსათვის მათ არაფერი გაუკეთებიათ საკუთარი დიდებისათვის სსრკ ისტორიის უნიჭოდ გადაწერის გარდა. ლავრენტი ბერიას კი ისტორიის გადასწავრად არ ეცაღა – იგი საბჭოთა კავშირის ისტორიას ქმნიდა. ამიტომაც არის, რომ ისინი, ვინც დღეს ლაფს ახსამენ ბერიას ხსონას, შინაგანად მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ ბერია მართლაც დიდი შრომა გასწია ერთ დროს კავის რუსეთის ასაღორძინებლად და მის "ატომურ" რუსეთად გადაქცევისათვის!

ამიტომ, ლავრენტი ბერიასადმი ამგვარი უსამართლო დამოკიდებულება მათ სინდისზე იყოს, თუკი მათ სინდისი და მორალი საერთოდ გააჩნიათ!

მაღე 62 წელი მეტი გავა მას შემდეგ, რაც ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა ბოროტმა თანამზრახველებმა მუხანათურად მოკლეს მე-20 საუკუნის ჭეშმარიტად დიდი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, ფენომენალური შესაძლებლობების მქონე პიროვნება – ლავრენტი პავლეს ძე ბერია, რომელიც მაშინ მხოლოდ 54 წლისა იყო, მაგრამ მოასწრო იმდენი სასიკეთო საქმის გაკეთება, რის გასაკეთებლადაც ძალზე ნიჭიერ, სამშობლოსა და შრომის უზომოდ მოყვარე და დიდად პროდუქტიულ ადამიანსაც კი შეიძლება ერთი სიცოცხლე არ ეყოს. ამ 54 წელიწადში მთელი ეპოქა ჩასმული გადასულა...

ურთულეს პერიოდში მოუწია ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ამ ადამიანს, რომლის მრავალმხრივი საქმიანობის ფენომენი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. ურთულესი დრო იყო თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიოს მეექვსედი იქმნებოდა სრულიად ახალი სახელმწიფო, რომელსაც ანალოგი არ გააჩნდა (და, სამწუხაროდ, ალბათ აღარც ექნება) კაცობრიობის ისტორიაში. სტალინის გენიისა და მისი გარემოცვის უბადლო შრომის-მოყვარეობისა და სახელმწიფო იდეალებისადმი ფანატიური რწმენის წყალობით მოკლე ხანში შეიქმნა ზესახელმწიფო, რომლის ძირითადი დანიშნულება გახლდათ მშრომელი მასების სოციალური დაცვის მყარი გარანტიების შექმნა, უფასო განათლება, უფასო მკურნალობა, მძღავრი კონსომიკური ბერკეტების გამოყენებით მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება და სხვა. მაგრამ, 1953 წელს ფრიად საეჭვო ვითარებაში მოკვდა იოსებ სტალინი, და მასთან ერთად დასამარდა ჯერ ლავრენტი ბერია, შემდეგ კი კომუნისტების იდეა, რომლისკენაც წელს, მაგრამ მაინც განუხრებლად მიიწვევდა საბჭოთა კავშირი. 70 წელს მიღწეულ ადამიანებს კარგად ახსოვთ, რომ, 1953 წლამდე, ყოველი წლის მარტის თვეში, როგორც წესი, 15-20 პროცენტით იაფდებოდა პირველადი მოხმარების საგნები, რომ ისეთ ფართო სამომხმარებლო საქონელს, როგორცაა პური, ასანთი, ნავთი, საპონი და სხვა, უკვე სიმბოლური ფასები ედო და სტალინს და ბერიას რომ კიდევ 2-3 წელი სიცოცხლე დაცლოდათ, უამრავი ასორტიმენტის საქონელი სრულიად უფასო იქნებოდა მოსახლეობისათვის. მაგრამ არ დაცაღეს...

თუ თნიკური წარმომავლობის ფესვებით ვიმსჯელებთ, სტალინი არ იყო რუსი, მაგრამ განა ფაქტი არ არის, რომ ამ გვებერეთულ ქვეყნის ისტორიაში არ მოიძებნება არც რუსი და არც არარუსი ადამიანი, რომელმაც სტალინისოდენა სიკეთე მიჰმადლა რუსეთს, რომელმაც ერთ მძღავრ მუშტად შეკრა მსოფლიოს თითქმის მეექვსედი გადაშლილი გეოსტრატეგიული სივრცე. ისტორიის ანაღები ადასტურებენ, რომ უკიდურესო რუსეთზე არცერთ მმართველ ძალას არასოდეს ისეთი მკაცრი იდეოლოგიური და ეკონომიკური კონტროლი არ დაუწესებია, როგორც ეს იოსებ სტალინმა განახორციელა. მაგრამ, თუ საქმიანობის შედეგებიდან გამოვალთ, მაშინ არც ნიკიტა ხრუშჩოვი შეიძლება ჩავთვალოთ მეტად რუსად, რადგან რუსეთის ისტორიაში ძნელად მოიძებნება თუნდაც არარუსი ადამიანი, რომელმაც იმდენი სიბოროტე და მტრობა ჩაიდინა რუსეთის წინაშე, რამდენიც ნიკიტა ხრუშჩოვმა.

დღეს, როცა ყოფილი პოსტსაბჭოთა სამყაროს უმეტესობა დარწმუნდა სტალინისა და ბერიას დიდ ღვაწლზე სოციალისტური ქვეყნების განვითარების საქმეში, ამ პიროვნებების მიმართ დიდ ავრესიას აღზრდილ-გამოკვებილი ქართველი "ლიბერალისტები", რომლებიც საქართველოს დამაქცევლ ძალად წარმოგვიდგენენ კომუნისტებს, კონკრეტულად კი სტალინსა და ბერიას. მაგრამ მათ "ავიწყდებათ", რომ სწორედ მეოცე საუკუნეში არნახულად აღორძინდა საქართველო, როგორც სახელმწიფო და ჩვენმა ეკონომიკამ, მეცნიერებამ, სპორტმა, კულტურამ თავისი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის შეძგომი წინსვლის საქმეში!

სტალინმა დიდი ძალი შეაღია ტროცკის

მიერ კულტივირებული ავანტურისტული დევიზის დანგრევა "მსოფლიო რევოლუციის" თაობაზე, რადგან ეს გახლდათ არა სოციალური დატვირთვის მქონე მშვიდობიანი მოწოდება, არამედ მსოფლიოზე ძალადობრივად ბატონობის ფაშისტური იდეა, რომელიც გულისხმობდა არა სოციალიზმის დამკარებას მთელ მსოფლიოში, არამედ რუსეთის ქცევას მსოფლიო იმპერიალიზმის ფორპოსტად. ეს ბოროტი იდეა, სამწუხაროდ, მოგვიანებით აღორძინდა ფაშისტურ გერმანიაში და ყველამ კარგად იცის, თუ რითი დამთავრდა. არ არის გამორიცხული, რომ "მსოფლიო რევოლუციის" ტროცკისტული რეცეპტი იმ ჟილო-მასონთა გეგმის ნაწილი გახლდათ, რომელთაც რუსეთის დანგრევა და მიწასთან გასწორება ეწადათ. სტალინმა დროზე გამოიცილა ეს მზაკერული ჩანაფიქრი და ორმოცდაათი წლით გადასწია ებრაელთა სვლა აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ, სტალინი მოკლეს, ასევე მოკლეს მისი იდეების ერთგული ბერიაც და შემდეგ ჟილო-მასონებს სულ 40 წელიწადი დასჭირდათ საბჭოთა კავშირის დასანგრეველად. ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს თუ გავაანალიზებთ, ძნელი მისახვედრი არაა, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დღის წესრიგში დგას რუსეთის დანგრევა და მისი აღმოსავლეთის საზღვრების გადმოწევა ურალის მთებამდე, რაც ჯერჯერობით, ასე თუ ისე, მაინც ხორციელდება რუსეთის, ებრაელების მიერ მოსყიდული მმართველი რუსული, თუ გარუსებული ებრაული მასონური ძალების მიერ.

დღეს "მსოფლიო დიქტატორის" პოსტი ამერიკის შეერთებულ შტატებს უყვრია, რომელმაც თითქოს სისხლის დაუდგრულად, მაგრამ მაინც დიდი სისხლის ფასად დაიპყრო სამყარო თავისი ყბადაღებული დოლარით. დღეს მსოფლიოში 700 ტრილიონი დოლარი დასერილობს ამერიკის ფულის საჭრელი დაზვის წყალობით, რომელიც უკვე ვეღარ კონტროლირდება თვით ამერიკის მიერაც კი, რაც უახლოეს წლებში ინფლაციით და ეკონომიკის განაზავებით ემუქრება მთელ მსოფლიოს. ამერიკა ვეღარ ახერხებს მოზღვავებული დოლარის დასაქონლებას და ამიტომაც განაცხადა უარი საკუთარი ვალუტის ოქროთი უზრუნველყოფაზე. ახლა კი მას საყრდენი რესურსი სჭირდება, რათა კიდევ რამდენიმე წლით გაუხანგრძლივოს სიცოცხლე დოლარს. ასეთი რესურსი კი მხოლოდ რუსეთს გააჩნდა და გააჩნია ურალს გადაღმა ციმბირში. გავისენოთ დიდი მონღოლი დამპყრობელი ჩინგიზხანი, რომელიც ვიდრე მსოფლიოს დამორჩილებას დაიწყო, ჯერ თავისი შვილი ჯუჩი გააგზავნა დიდი არმიით მდინარეების სელენგასა და ენისეის აუზებს შორის მოქცეული ციმბირის სივრცის დასაპყრობად. სიმართლე რომ ვთქვათ, იმ მხარის ასაღებად დიდი საომარი არაფერი იყო, რადგან მთელ ციმბირში მაშინ სულ რამდენიმე ათასი ადამიანი ცხოვრობდა. მაგრამ ციმბირს გააჩნდა წიაღისეული, რაც აუცილებელი იყო დიდძალი იარაღის დასამზადებლად და მონღოლმა მმართველმა სამყაროს დაპყრობა სწორედ აქედან დაიწყო. ეს კარგად იცოდა ჩინგიზხანმა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კარგად იცან ამერიკელებმაც, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ მიზნის მისაღწევად. ამიტომ სჭირდებოდათ მათ ხრუშჩოვი, ბრეჟნევი და გორბანოვი, და არა იოსებ სტალინი, ამიტომ მოცილეს მათ ხრუშჩოვის ხელით ბერია, შემდეგ მოიყვანეს ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნომირი, გორბანოვი, ელცინი...

ბერიას რომ არა მხოლოდ სამშობლოს გამოიდევლი რუსები ებრძოდნენ, იმთავე დასტურდება, რომ ურია-მასონებმა მთელ მსოფლიოში შექმნეს საზოგადოებრივი აზრი: ლავრენტი ბერიას ლიკვიდაცია იყო დიდი სიკეთე და სოციალისტური სამართლიანობის აღხვევა. მაგრამ წლები მიდიან და ყველაფერი თავის ადგილზე დგება – გმირებს კვლავ უბრუნდებათ დამსახურებული სახელი და ღირსება. და დიდად სასიხარულოა, რომ ამ საქმეს აკეთებენ სწორედ ის პატრიოტი რუსები, რომელთაც კარგად იციან თუ ვინ მტრობს

მათ სამშობლოს და ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად ემსახურებოდნენ მრავალეულებანი საბჭოთა კავშირის გაძლიერების საქმეს.

1990-იან წლებში გამოჩენილი "დემოკრატები" სტალინს და ბერიას ხშირად უყენებდნენ ბრალს, რომ მათ შექმნეს ვეებერთელა იმპერია. ეს არ გახლავთ მართებული, რადგან სტალინმა და ბერიამ შექმნეს არა პოლიტიკური იმპერია, არამედ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი – უდიდესი ქვეყანა ერთიანი ეკონომიკით, ეროვნული და სოციალური თანაბარუფლებიანობით, პარმონიული საზოგადოებით, ერთიანი სოციალური დაცვის მექანიზმით. "სიბოროტის იმპერია" საბჭოთა კავშირი ჩამოყალიბდა სწორედ იმ ხრუშჩოვების, ბრეჟნევიებისა და ანდროპოვი-ჩერნომირების ხელში, რომელთაც სტალინის მმართველობის ჟამს მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა გადააქციეს კრემლისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტურად, რომლებიც საკუთარი სურვილისამებრ ატრიალებდნენ მილიარდობით ფულს, თავხედურად აფთავებდნენ ხელს სახელმწიფო სახინაში, ზრუნავდნენ მხოლოდ პირადი და ოჯახის წევრების ფუფუნებაზე და არავის ინდობდნენ მათ ხელში დამახინჯებული კომუნისტური იდეალების (ფაქტიურად კი საკუთარი კეთილდღეობის ბერკეტის) შესანარჩუნებლად. არ ჰქონდათ ბოლშევიკებს თავის მართლების მორალური უფლება, თორემ მართლაც სასაცილოა, რომ საბჭოთა კავშირს "სიბოროტის იმპერია" უწოდოს მხოლოდ საუკუნის ყველაზე დიდი სიბოროტის შემოქმედმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც 1945 წელს იაპონიაში ორი ატომური ბომბის ჩამოგდებათ სიცოცხლე მოუსწრაფა 300.000-ზე მეტ მშვიდობიან მოქალაქეს. რაც შეეხება სტალინსა და ბერიას, მათ რომ დიდი სამამულო ომის დასრულების ჟამს ატომური იარაღი ჰქონოდათ, ისინი არასოდეს გამოიყენებდნენ ამ საშინელ იარაღს გერმანელი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ლავრენტი ბერიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ერთპარტიული სისტემის დომინირებისას კომუნისტური პარტიის სახელმწიფოს მართვის სათავეებში დაყენება გამოიწვევდა ქვეყნის მიყვანას ერთი მუჭა პარტოკრატ-ბიუროკრატების დიქტატურამდე და ამიტომაც იძულებული მითითებებს სახელმწიფოს მართვის სტრუქტურაში მთავრობის როლის პრიორიტეტის შესახებ. ისევე, როგორც თავის დროზე სტალინს, ბერიასაც სურდა მოესპო კომუნისტური პარტიის მონოპოლია ქვეყნის ხელისუფლებაში, ხრუშჩოვმა კი ყველაფერი პირუკუ გააკეთა და კომუნისტური პარტია ფაქტიურად იმ მაფიად გადააკეთა, რომელსაც "არც ღმერთი სწამდა და არც კომუნისტური იდეალები".

ჯერ კიდევ 1952 წელს ლავრენტი ბერიამ შეიტანა წინადადება გერმანიის გაერთიანების შესახებ, და ამ გაერთიანებას აპირებდა არა სოციალიზმის ვედიით. მას არ აშინებდა იმის პერსპექტივა, რომ გერმანია გახდებოდა ერთიანი ბიურუაზიული სახელმწიფო. ხრუშჩოვმა კი სამარცხვინო კვლევი გაავლო ქვეყანას, რომელიც შემდეგ სეპარატისტებმა ასევე სამარცხვინოდ დაასრულეს საქართველოში.

1953 წელს ლავრენტი ბერიას იდეის გამარჯვებას შეეძლო მკვეთრად შეეცვალა სამამულო (სსრკ) და მსოფლიო ისტორიის მსვლელობა, არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხალხების, არამედ მსოფლიო კაცობრიობის სასიკეთოდ. ისტორიიდან ამოიშლებოდა "ცივი ომის" 35 წელიწადი, არ იქნებოდა "ცხელი" ომები ავღანეთში, ტაჯიკეთში, ბუდაპეშტში, პრადში, ვილნიუსში, დნესტრისპირეთში, ახერბაიჯანში, საქართველოში, აღარ დაიდგებოდა სისხლის ზღვა აფრიკასა და არაბულ ქვეყნებში...

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)



54 წელიწადში გადასულ ჩასული ეპოქა...

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

ლავერენტი ბერიას ერთ-ერთი თანამებრძოლი, შემდეგ კი მისი პრინციპების მოდელად ვიანქსლავ მოლოტოვიც კი აღიარებდა: “ბერია უფრო მომავლის კაცი იყო, ვინც წარსულის, ის ვერაფერს ხედავდა კერძო საკუთრების გარეშე. სოციალიზმს იგი არ სცნობდა”.

ბერიას ჰქონდა პროექტი ეროვნული რესპუბლიკებისათვის მმართველობის სადავების მაქსიმალურად გადაცემის შესახებ, იგი ყოველწლიურად იცავდა ეროვნული ტრადიციების განვითარებას კულტურის და ენის დარგში, ხრუშჩოვმა კი ყოველ რესპუბლიკაში მაყურებლად დანიშნა რუსები, რითაც ერთა ძმური მონღოლითი – საბჭოთა კავშირი კვლავ რუსეთის იმპერიად გადააქცია...

რუსი მწერალი და პუბლიცისტი, თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი, მიუკერძოებელი და ხაზგასმით ობიექტური, პატიოსანი მკვლევარი სერგეი ბრეჟუნევი (ერემლიოვი მისი ლიტერატურული ფსევდონიმია) ერთ-ერთი იმათაგანია, ვინც წლობით იმუშავა არქივებში და დიდი დრო მონაღმა ჭეშმარიტების დადგენას. მის ზემოთაღნიშნულ წიგნში თქვენ გაცნობთ იმ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას, რომელსაც შეიძლება დღევანდელი თაობა არც კი იცნობდეს. სერგეი ბრეჟუნევი მოახერხა განადგურებას გადაარჩენილი საბუთების შეგროვება და იმ სიმართლის თუნდაც მცირე ნაწილის ინტერპრეტირება, რაც საკმარისია მეოცე საუკუნის უდიდესი პიროვნების – ლავრენტი ბერიას ცხოვრების, მოღვაწეობის და ბურუსით მოსილი აღსასრულის მკითხველისადმი წარსადგენად.

მისი წიგნისადმი – “ბერია მეოცე საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” – ქართველი მკითხველის დიდი ინტერესი განაპირობა იმანაც, რომ ამ წიგნის ავტორი გახლავთ არა ეთნიკური ქართველი, არამედ რუსი ადამიანი და სასიამოვნოა იმის შეგრძობა, რომ რუსეთში თანდათან მრავლდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც სწორი ანალიზით მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ბერიას დამარცხება ფაქტიურად საბჭოთა კავშირის დამარცხებას ნიშნავდა. საქართველოში კი, სადაც სააკაშვილის სომხური ხელისუფლება სტალინისა და დიდი სამამულო ომის დიდების მემორიალებს ებრძოდა და ვანდალურად ანგრევდა, არავის ეპიტანავებოდა იმ ადამიანის რეაბილიტაცია, რომელმაც უამრავი რამ გააკეთა საქართველოსათვის და დღესაც ბევრ რამეში სარგებლობს გაჭირვებული ქართული მოსახლეობა ამ სიკეთით.

გავისხვებით თუნდაც ის, რომ, როცა მეოცე საუკუნის 90-იან წლებში წელში

გატეხილი საქართველოს მოსახლეობას თავის რჩენის ელემენტარული საშუალება არ გააჩნდა, ბევრმა ადამიანმა მიიმეხა თარში სიციეთი სიკვდილისაგან თავი იმით გადაირჩინა, რომ შეშად ჩეხადნენ ლავრენტი ბერიას მიერ ოცდაათიან წლებში გაშენებულ ქარსაფარ ზოლებს...

არაფერს ვამბობ ბერიას მიერ აშენებულ წარმოება-დაწესებულებებზე, კოლხეთის ჭაობის დაშრობაზე, განათლების მძლავრი კერების შექმნაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით, სარწავვე სისტემების მოწყობაზე, რომელში ჩადებულ მეტალის არმატურებს მოსახლეობა დღესაც ჯართად აბარებს, რათა ლუკმა-პურისათვის კაპიკები იშოვოს! უღრმესი მადლობა მას ამისათვის!

ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა ალექსანდრე ჭაჭიამ სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მეორე ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა: “დამსახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელმა გააკეთა. დამსახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელმაც საქართველოს, მათ შორის ქალაქ თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიამ გააკეთა. დამსახელოს ვინმემ პიროვნება, რომელმაც საქართველო სულიერი გაერთიანებისათვის, ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის, ქართული სულის ამაღლებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ეს ზვიად გამსახურდიამ გააკეთა...”

დღეს საქართველოშიც უამრავი ვინმე მოიძებნება, ვინც რუსი ანტონოვოვსევიკებისა და ვიდაც ბუშკოვების მსგავსად ასევე ცილისწამების ლაფს ასხამს სტალინისა და ბერიას სახელებს. მაშინ, როცა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს კაბინეტში უკიდია ბერიას დიდი პორტრეტი, საქართველოში არავინ ფიქრობს სამართლიანობის აღდგენაზე, რათა ძველებური სახელი და დიდება დაუბრუნდეს იმ ადამიანებს, რომლებმაც ეკონომიკურად და მეტწილად ჩამორჩენილი ქვეყნიდან მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანად აქციეს არა მხოლოდ საქართველო.

მაგრამ, იმ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ძალას, რომელსაც განზრახული აქვს საქართველოს ეკონომიკური და სულიერი ძლიერების შესუსტება და მისი, როგორც სახელმწიფოს მოშლა, არაფრად ეპიტანავებთ იმ ადამიანებისადმი პატივის-

ცემის გამოხატვა, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამიტომ გამოუცხადეს მათ ომი გორში შემორჩენილი სტალინის ერთადერთ ძეგლს და ბერიას ხსოვნას!

სამარცხვინო ლაქად შერჩება საქართველოს ისტორიას პირწავარდნილი დაშნაკი ნაციონალის გივი თარგამაძის ქმედება, რომელიც 2008 წლის აგვისტოს, სააკაშვილის მიერ წამოწვეული პროვოკაციული ომის დროს, რუს გენერალ ბორისოვს გორში მდგარი სტალინის ძეგლის აფეთქებაში 50.000 ამერიკულ დოლარს სთავაზობდა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსმა გენერალმა კატეგორიულად უარყო ნაციონალი არაკაცის ეს ბინძური შემოთავაზება.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა დიდი ხნის წინ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოწერილი ვიანქსლავ მოლოტოვი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მასთან შეგობობდა შესანიშნავი ქართველი პიროვნება, მეორე შესანიშნავი ქართველი, თბილისის პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივნის, შევარდნაძის ბინძურ პროვოკაციებს უსამართლო შეწირული გიორგი გეგეშიძის მძღოლი, წარმოსადგომ ქართველი ვაჟაკი რეზ ბიერიძე. მასსოვს, ერთხელ ჩვენ ერთად ჩავედით მოსკოვის ელიტარულ გარეუბან ბარჯისის სამთავრობო სანატორიუმში, სადაც, სხვებთან ერთად, ვიანქსლავ მოლოტოვიც მკურნალობდა. ამ მსცოვან ადამიანს ჩავეუბნეთ მცირეოდენი ქართული ნობათი და მასთან სასაუბროდ სანატორიუმის ბაღში ჩამოვსხედით. მიუხედავად ხანდაზმულობისა (85 წელს კარგა ხნის გადაცილებული გახლდათ) ახალგაზრდული მჭახე ხმა ჰქონდა, ასეთივე ახალგაზრდული შემართებით უამრავი რამ მოგვითხრო იოსებ სტალინზე, მის უსაზღვრო ნიჭზე, შრომისმოყვარეობაზე, განუმეორებელ მხედართმთავრულ თვისებებზე, პარტიისა და სამშობლოსადმი ღამის ფანტიკურ სიყვარულზე...

მთავარი შეკითხვის დასმის სურვილი გავწავლებდა, გავბედეთ და ვკითხეთ: ბერიას შესახებ რას იტყვიან?

მოულოდნელი რამ მოხდა – თითქოს უცებ კიდევ უფრო დაბერდა და ჩვენს თვალწინ ჩამოიღვენა ახალგაზრდა ახალგაზრდული შემართებით დამუხტული კაცი. ჩაფიქრდა, კარგა ხანს ჩუმად იყო, შემდეგ კი ღრმად მოხუცებულისათვის დამახასიათებელი ხმის კანკალით გვითხრა:

– ძალიან გთხოვთ, ამის შესახებ არაფერი მკითხოთ!

მაშინდელ საბჭოთა კავშირში ბერიას თაობაზე დამკვიდრებული უარყოფითი

აზრის გაქვრების სურვილი რომ ჰქონოდა, ხელს ვერაფერი შეუშლიდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ თემას შეგებულად უფლიდა გვერდს. მივხვდით – ტყუილის თქმა არ უნდოდა, სიმართლის აღიარება კი, ალბათ, წმინდად ადამიანური თვალსაზრისით, ეუხერხულებოდა, რადგანაც თავადაც ხომ გახლდათ ლავრენტი ბერიას ტრაგედიის უშუალო მონაწილე, რაც მასაც შეუბრუნდა ბუმერანგით, მის ბევრ სპეტაკ თანამებრძოლსაც და სრულიად საბჭოთა კავშირსაც...

ვიანქსლავ მოლოტოვიც კარგად ვის შეიძლება სცოდნოდა თუ რა მძლავრი პოტენციალი დაჰკარგა საბჭოთა კავშირმა ლავრენტი ბერიას სახით!

ბერიას მსგავსად მისი ოჯახის წევრებიც სულით ხორცამდე იყვნენ შეყვარებულნი სამშობლოზე. მაგალითად, ლავრენტის ერთადერთ პირმშოს სერგო ბერიას უდიდესი გასაჭირის თავზე დატეხვის ვამსაც კი არ მიუტოვებია საბჭოთა კავშირი და სამშობლოსადმი სამსახურს შეაღია მთელი მისი შეგნებული ცხოვრება, მაშინ, როცა ნიკიტა ხრუშჩოვის ფუფუნებაში ნაცხოვრებმა შეიღმა სერგეი ხრუშჩოვმა დაუნანებლად დასტოვა სამშობლო და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა. განა ეს ფაქტიც არ მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ღირებულებებზე იზრდებოდნენ ამ ადამიანთა შვილები?

უშეცდომო ადამიანი არ იბადება. როგორც ამბობენ – მზესაც კი აქვს ლაქები ნათელ ზედაპირზე. შეიძლება არც ბერია იყო მთლიან შემუცდარი, რადგან ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ, ადამიანს კი, წარმატების კვალდაკვალ, შეცდომებიც თან დასდევს, რაც ზოგჯერ შეიძლება საბედისწეროდაც კი იქცეს მისთვის. ლავრენტი ბერიას ყველაზე დიდი შეცდომა კი გახლდათ ის, რომ ბრიყვ და უმეცარ ნიკიტა ხრუშჩოვს მისცა მისი განეიტრატების საშუალება, რაც მალე უმძიმეს ბედისწერად ექცა არა მხოლოდ ბერიას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირს!

შემდგომმა ცხოვრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პოლიტიკურად და ზნეობრივად უმართავმა ბრიყვმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა და მისმა მასონურმა ბანდამ ლავრენტი ბერიასთან ერთად მოკლეს საბჭოთა კავშირი. უბრალოდ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ამ მართლაც უნიკალური და ვეებერთელა ძმური გაერთიანების ოფიციალური დაკრძალვა შედგა 38 წლის შემდეგ – 1991 წელს.

რომანოვ ჯალაღანიძე

საიდან შემოდის ყველაზე მეტი ფული საქართველოში – მილიონები, რომლითაც ემიგრანტები ქართულ ეკონომიკას “კვებავენ”



რომელი ქვეყნებიდან ხორციელდება საქართველოში ყველაზე მეტი ფულიანი გზავნილი? საიტი ამბები.გე ფულადი გზავნილების ბოლო პერიოდის სტატისტიკით დაინტერესდა. ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 75.5 მილიონი ამერიკული დოლარი, ანუ 146,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 23 მლნ აშშ დოლარით (44,6 მლნ ლარით), ანუ 23,3 პროცენტით ნაკლებია 2014 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მთლიანობაში, 2014 წელს 36 მილიონი ამერიკული დოლარით არის შემცირებული გადმორიცხვების რაოდენობა 2013 წელთან შედარებით.

2010 წლიდან მოყოლებული დღემდე არსებული გზავნილების მოცულობას თუ გადავხედავთ, რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, თურქეთი, უკრაინა, ისრაელი, გერმანია,

ესპანეთი და აზერბაიჯანი ლიდერობენ, რაც, სავარაუდოდ, ამ ქვეყნებში ბევრი ქართველი ემიგრანტის ყოფნით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ვარკვეული ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა შემცირდა, ნაწილი კი გაიზარდა.

ჩვენ წარმოვიდგინეთ რამდენიმე ქვეყანას, სრული სიის ნახვა ეროვნული ბანკის ვებგვერდზე შესაძლებელია:

ყველაზე მეტი თანხა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, რუსეთიდან ირიცხება, რაც საგრძნობლად აღემატება სხვა ქვეყნებიდან განხორციელებულ გადმორიცხვებს. მიმდინარე წლის იანვარში, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, რუსეთიდან საქართველოში ჩაირიცხა 25.860.500 მლნ დოლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 21 მლნ დოლარით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის დეკემბერთან შედარებით ეს რიცხვი თითქმის ორჯერ არის შემცირებული.

გასული წლის ბოლო თვეში, რუსეთიდან საქართველოში ფულადმა გზავნილმა 46 928 700 დოლარი შეადგინა, რაც 21 068 200 დოლარით მეტია 2015 წლის პირველ თვესთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის იანვარში გადმორიცხული თანხა 37 მლნ დოლარით ნაკლები იყო 2013 წლის დეკემბერში გადმორიცხულ თანხასთან შედარებით.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაახლოებით იგივე სხვაობაა, რაც 2015 წლის იანვარსა და 2014 წლის დეკემბერს შორის. მთლიანობაში რუსეთიდან 2014 წელს გადმორიცხული თანხები დაახლოებით, 90 მლნ დოლარით ნაკლებია 2013 წელს გადმორიცხულ თანხებთან შედარებით. სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წელს იანვრიდან ივლისის ჩათვლით გზავნილების მოცულობა იზრდებოდა, თუმცა აგვისტოდან უკვე კლებას იწყებს.

2013 წელთან შედარებით 2014 წელს თითქმის 22 მილიონ დოლარზე მეტით არის გაზრდილი საბერძნეთიდან გადმორიცხვების რაოდენობა. საბერძნეთიდან, სადაც ასევე დიდა ემიგრანტების რაოდენობა, გასული წლის 204 781 900 ამერიკული დოლარი გადმორიცხეს, ხოლო 2013 წელს – 18 25 87 200. მიმდინარე წლის იანვარში კი გადმორიცხვების რაოდენობამ 12 204 800 აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2 მილიონ ამერიკულ დოლარზე ნაკლებია.

იტალიიდან 2014 წელს გზავნილების რაოდენობამ 121 469 700 დოლარი შეადგინა, რაც 2013 წელთან შედარებით 11 მლნ დოლარით მეტია.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან კი გასული წელს საქართველოში 82 062 900 დოლარი გადმორიცხა.

თურქეთიდან 2014 წელს საქართველოში

სულ 64 336 100 დოლარი გადმორიცხეს.

უკრაინიდან 2015 წლის იანვარში 2 მილიონი ამერიკული დოლარი გადმორიცხა, ხოლო საქართველოდან უკრაინაში ამ პერიოდში 1,5 მლნ დოლარზე მეტი გადმორიცხა.

როგორც ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები აცხადებენ, გზავნილების რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში

ქართველი ემიგრანტების რაოდენობაზე. სწორედ ამას დასტურებს დიასპორის არაოფიციალური სტატისტიკაც, რომელიც დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტროს აპარატმა მოგვაწვოდა. ამ ჩამონათვისის მიხედვით, სწორედ იმ ქვეყნებშია ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი, საიდანაც გზავნილები მეტია. მონაცემები ასეთია:

რუსეთის ფედერაცია: 800 000-მდე ქართველი ემიგრანტი, საიდანაც, 2009 წლიდან დღემდე, 285 915-მა ადამიანმა მიიღო მოქალაქეობა.

საბერძნეთი: დაახლოებით 250 000 ემიგრანტი, მათ შორის 100 000-მდე ეთნიკური ბერძენი.

იტალია: 20 000 ემიგრანტი. აშშ: 80 000 ემიგრანტი.

თურქეთი: 100 000 შრომითი მიგრანტი.

მ. ნაბახტაშვილი

თქვენ იმსახურებთ იმას, რომორც ცხოვრობთ – ემიგრანტის ემოციური წიგნი



ეს წერილი სოციალური ქსელით გავრცელდა. ავტორი ერთ-ერთი პოსტსაბ-ჭოთა ქვეყნის წარმომადგენელია, ამჟამად უცხოეთში მცხოვრები. წერილი საკმაოდ ემოციური, რეალისტური და აქტუალურია ჩვენთვისაც. ბევრი დაეთანხმება ავტორს, ბევრიც გაღიზიანდება, რადგან თავს ამოც-ნობს გაიციხულთა შორის... შეიძლება, წერილი ძალიან კატეგორიულია, თუმცა ფაქტია, რომ ადამიანმა ცხოვრების პირობე-ბის თუ ღონის გაუმჯობესება საკუთარი თავის შეცვლით და ღონის ამაღლებით უნდა დაიწყო...

ცეცხლი გავანადგო, მწვადი გემრიელი გამოვიდა, თუმცა გარშემო გამყვებელი სიბინძურე და გადახრილობები მდელი ძალიან მთრუნავდა... ტბაც კი ამღვრეული იყო სიბინძურისგან. შიგნით შესვლა და ბანაობა ვერ გაბედავ.

თავიდანვე ვუბრძანებ ახლობლებს, ნაგავი არ დაეყარათ ბაღასა და ბუჩქებში, სპე-ციალურად წავიდე პარკები მათ ჩა-საწყობად. თვითონვე შევამოწმე, რომ ჩვენს მერე იქ ნაგავი არ დარჩენილიყო. მენანე-ბოდა ეს მდელი და ხმამაღლა გამოვხ-ატავდი აღშფოთებას იმათი მისამართით, ვინც გააუბედურა ეს ადგილი, სადაც თავადვე ისვენებს. მდელიდან ას მტერში დგას ნაგვის ურნები და ნუთუ ძნელია იქამდე ნაგვის მიტანა?

უკვე წამოსვლას ვაპირებდით, რომ აღ-მოვჩინე, ნაგავით სავსე პაკეტი არავის ეჭირა ხელში. ყველას სათითაოდ ვკითხე-დედამ მხრები აიხეა – უკვე გადავაგდეთო. “რას ჰქვია გადაგდეთ? სად?” – “იქით, ბუჩქებისკენ გადავაგდეთ. ყველა იქ აგდებს და ჩვენ რა, გამორჩეულები ვართ?” ძალიან შევიკავე თავი, რომ არ შემიგინა. იქიდან ნაგვის ამოღება უკვე შეუძლებელი იყო – ხვეთან იყო განხერილი, სხვა უამრავ ნაგავს შორის.

გავაცნობიერე ერთი დიდი ჭეშმარიტება: ისინი იმსახურებენ იმას, როგორც ცხ-ოვრობენ. იმსახურებენ ამ დაბნარულ ას-ფულტს, უნათურო ლამპიონებს, ჭკუჭკიან ქუჩებს, მყარ მდინარებს, დანაშაულებრივ ხელისუფლებას, დაბალ ხელფასებს და პენსიებს. მათ თვითონ კიდიან ფეხებზე თავიანთი თავი, მაშ მთავრობას რატომ არ უნდა ეკიდოს? ისინი თავად არ სცემენ პატივს საკუთარ თავს – სხვა რადატომ სცემს მათ პატივს?

მთავრობა არ ანაგვიანებს ქუჩებს და არც ბავშვების სათამაშო მოედნებს ან-გრეებს. პრეზიდენტი არ იპარავს ნათურებს და სადენებს. მე აღარ მჯერა თქვენი ჩივილების და წუწუნების. თანამემამულეო, თქვენ თვითონ შეიქმენით ეს ჯოჯოხეთი

და თქვენვე უნდა იცხოვროთ იქ. შეიც-ვალეთ თვითონ და მერე მოითხოვეთ სხ-ვაგვარი დამოკიდებულება თქვენ მიმართ”.

გახეთ “ილორის” მთავარი რედაქტორის კომენტარი: ამბობენ, ამა თუ იმ ქვეყნის ან ქალაქის კულტურის დონე ქალაქისა და წყლის ხარჯვის ოდენობით გან-ისაზღვრება. ქალაქის რა მოგახსენოთ, მაგრამ წყლის ხარჯვაში რომ ტოლს არ ვუდებთ არავის, ეს ფაქტია. მაგრამ წყალი იხარჯება არა მოსახლეობის ჰიგიენის დასაცავად, არამედ მოშლილი ონკანებიდან, დაზიანებული ქსელიდან... და ეს ჩვენი სიბინძურე იმდენად “შთამბე-ჭდავი” აღმოჩნდა (მით უმეტეს – ჩაკეტილ სივრცეში), რომ საქართველოს პატრიარქი იძულებული გახდა ქალაქებში ხალხ-ისათვის მოეწოდებინა: “კვირაში ერთხელ მაინც იბანეთო”!

სიტყვებით და თავის მოჭრა თუ გინ-დათ, სწორედ ეს არის!

უფრო მიმივდა მდგომარეობა საზოგა-დობრივი ჰიგიენის მხრივ ქალაქის სისუფ-თავეს რომ უზრუნველყოფს. რატომღაც დაგვჩემდა, რომ ოჯახში იდეალური სისუფ-თავე უნდა გექონდეს, ქუჩა კი თუნდაც წყალს წაუღია! იმაზე კი არ ვფიქრობთ, რომ ქუჩის ნაგავი ჩვენვე შემოგვაქვს ჩვენს “დაწვრილებულ” სახლში, თანაც, ბევრად უფრო საშიში და ვერავი ბაქ-ტერიებით გაჯერებული, ვიდრე ქუჩაში გატანამდე იყო.

მაგრამ ეს არაა მთავარი – მთავარია სახლში სისუფთავე იყოს, ქუჩა კი...

ლამის ყველა ოჯახთან დადგეს ნაგვის ურნები ქალაქის ხელისუფლებამ და ჯარი-მაც კი დააწესეს ჰაიპარად გადაყრილი ნაგვისათვის, მაგრამ მდგომარეობა ვერც ამ ღონისძიებებმა გამოასწორეს. ადრე თუ, ნებისმიერ ადგილას, ხელუკუღმა ისროდნენ ნაგავს მოქალაქეები, ახლა, ჯარიმის შიშით, უფრო ფრთხილად იქცევიან, გარემოს დაზვერვენ და თუ საეჭვო ვერაფერი შეამჩნიეს, ნაგავს ქუჩაში სტოვებენ

ძაღლებისა და კატების მიერ დასაგლეჯ-დასაფლეთად, მაშინ, როცა რამდენიმე ნაბი-ჯში ურნა დგას!

დაჯარიმების შიშით გახდნენ ესოდენ ფრთხილები...

კი გემოდღერავს ჩვენი წინაპარი: “შიში შეიქმნის სიყვარულსაო”, მაგრამ იგივე შიშს რომ ჩვენი ავადმყოფური მენტალიტეტის გამოჯანსაღება არ შეუძლია, ეს ფაქტია.

თუ გინახავთ თბილისში “მოღუდუნე” მტკვარი წვიმების შემდეგ? ეს არის ნამდვილი საშინელება, რადგან, როცა პატარა რუები დიდდება, მდინარეში ჩამოაქვს მის ნაპირებზე დაყრილი ნაგავი – ნამდვილ “ფლოტილებად” მოცურავენ ცელოფანის პაკეტები, პლასტმასის ბოთლები, ათასგვარი სიბინძურე. ამის შემდეგ გაკვირებული რჩები, როცა გაიგებ, რომ საქართველოში კიდევ ჩამოდიან ტურ-ისტები, მაგრამ მათი ინტერესიც გასაგებია – ალბათ თბილისში იმის სახიფეფლად მოდიან, თუ როგორ ცხოვრობდნენ ნაგავსა და სიბინძურეში მათი ბარბაროსი შორეული წინაპრები!

ოთხი წელიწადი (1988-1992 წლები) ინ-გლისის ქალაქ მანჩესტერში მომიწია ცხ-ოვრება და საქმიანობა. ბინად ჩემს მეგობარ მხატვარ დევიდ ვილსონთან ვიდექი. იქაური წესის თანახმად ყოველ საღამოს პაპში მივიდიოდი თითო პინტა ლუდის დასალ-ევად. ერთ ღირსს დღეს შინ რომ დაებრუნ-დი, დავინახე, რომ დევიდის ეზოს კართან ქარს ქალაქის ნაჭური მოეტანა. დევიდი დაინახა, აიღო, დაჭმუნა და მუჭში მოიქცია. მაინტერესებდა სად წაიღებდა. შინ რომ შევედი, სამზარეულოში მდგარ ნაგვის ურნაში ჩააგდო ის ქალაქი.

ახლა თუ მაინც ხვდებით, რა განსხ-ვავებაა კულტურასა და უკულტურობას, უფრო სწორად, ოჯახიდან გატანილ და ოჯახში შემოტანილ ნაგავს შორის?

როლანდ ჯალაღანიძე

ამბავი სამეგრელოდან

დედის დღე ხოვში

ქ. ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნორჩ მხატვართა ჯგუფის წევრებმა ორიგინალურად მიულოცეს დედებს დედის დღე. ასფალტზე ცარცით დახატეს სხვადასხვა ფერის ყვავილები და დიდი ასოებით: „დე, მიყვარხარ, გილოცავ“ – ჩაწერეს. პარალელურად მოსწავლე ახალ-გაზრდობის სახლში ნორჩი მხატვრის გელა გულუას პერსონალური ნახატების გამოფენა მოეწყო. გამოფენა 8 მარტამდე გაგრძელდა. ულამაზესი სანახაობები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობაიამ, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუიასა, ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

საქართველოში 3 მარტი, როგორც დედის დღე, ისე აღინიშნება. 1991 წელს, საქართველოს პირველი პრეზი-დენტის, ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით, ქვეყნის უხუნანსმა საბჭომ დაადგინა, რომ დედის დღეს ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტი უნდა შეეცვალა, მაგრამ ასე არ მოხდა და მარტის დასასწავლისში ორივე დღესასწაული აღინიშნება.

პროექტის „ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში“ პრეზენტაცია გაიმართა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავი-სუფლება“-ს წევრები, პროექტის ხელმძღვანელი გიორგი ჭულუხაძე და პროექტის მენეჯერი დანავლეო საქართველოში გიორგი მღვდელაძე ხობის მუნიცი-პალიტეტის 80-მდე ახალგაზრდას შეხვდნენ, გააცნეს პროექტი და ჩაატარეს ტესტირება. ტესტირების შედეგად, რომლის შედეგებიც რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, შეირჩევა 36 ახალგაზრდული საკრებულოს წევრი, ჩამოყ-ალიბდება თემატური ჯგუფები და აირჩევა თავმჯდო-მარი.

საქართველოს მასშტაბით არსებულ 64 მუნიცი-პალიტეტში არჩევნების შედეგად 2.105 დეპუტატი არჩეული. ახალგაზრდობთან შეხვედრებისა და ჩატარებული ტე-სტირების შედეგად შეირჩევა ამავე რაოდენობის ენ-

ერგოული და მოტივირებული ახალგაზრდა. საუკეთესო ქულების მქონე ახალგაზრდები გახდებიან თავიანთი ქალაქის „ახალგაზრდული საკრებულოს“ წევრები. „ახ-ალგაზრდული საკრებულოს“ წევრები შემდეგ შეკრებაზე აირჩევენ საკრებულოს თავმჯდომარეს და შეიქმნება თემატური ჯგუფები.

ორგანიზაციამ ადგილობრივ თვითმმართველობებთან და რესურსცენტრებთან თანამშრომლობით საჯარო სკოლებიდან გამოითხოვა მოსწავლეების სიები. „ადამიანი კანონი თავისუფლება“ წარჩინებული ახალგაზრდების რაოდენობაზე ამხვილებს ყურადღებას და მიესალმება მათ მაღალი აკადემიურ მოსწრებას.

საქართველოს მასშტაბით „ადამიანი, კანონი, თავისუ-ფლება“ 6.000-ზე მეტ მოსწავლესთან გეგმავს შეხვედრას, პროექტის გაცნობას და ტესტირების ჩატარებას. პროექტის ფარგლებში მხოლოდ 2.105 მოსწავლე შეირჩევა, რომლის მთავარი მიზანია მოტივირებული და განათლებული ახ-ალგაზრდები ჩაერთოს თვითმმართველობის საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ლიდერების გამოკე-თას.

მდინარე ტიხურაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გურამში, მდ-ინარე ტიხურაზე მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის მიხედვით მიმდინარეობს ოთხი სხვადასხვა ზომის ნაპირსამაგრის მოწყობა, მათი საერთო სიგრძე 90 მეტრია, კეთდება სპეციალური ბარიერი, რომელიც წყალდიდობის შემთხვევაში გზისა და საკარმი-დამო ნაკვეთების დაზიანებას შეაჩერებს. სამუშაოზე დასაქმებულია 15-მდე ადამიანი, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი მცხოვრებია. პროექტის ღირებულება: 45.362 ლარი. სამუშაოს ასრულებს ი/მ გენო გულორდავა. სამუშაო 2015 წლის 2 თებერვალს დაიწყო და 4 აპრილს დასრულდება.

სოფელ თამაკონში საბავშვო ბაღი შენდება

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ თამაკონში, მოსახლეობის მოთხოვნით ბაღი შენდება. 2137 კომლიან სოფელში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის მშენებლობა „სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდებოდა. პროექტის ღირებულებაა 25.149 ლარი, სამუშაოს ასრულებს ი/მ ჯაბა გვილავა. სამშენებლო სამუშაო დასრულდა 2015 წლის 28 თებერვალს. მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ დაათვალიერა.

სამეგრელო „შეცვალე სამყარო“

მიმდინარე წელს სენაკის №1 საჯარო სკოლაში ამავე სკოლის აღსაზრდელებისა და სამტრედიის №15 საჯარო სკოლის თეატრალური კლუბის თანატოლების მიერ მომზადდა სპექტაკლი „შეცვალე სამყარო“, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამისა“ და კავშირი „ბერილიუს“-ის თანამშრომლობით განხორ-ციელდა. პიესა ნამდვილ ამბავზეა დაფუძნებული, რომელიც მე-7 კლასელმა ტრევერ მაგინმა დაიწყო და მთელ მოძრაობად გადააქცია. ერთი შეხედვით ძალიან მარტივი და უბრალო, „სამყაროს შეცვლის“ გეგმა თითოეულმა სხვაზე ზრუნვით და დახმარებით უნდა მოახერხოს და ასე უსასრულოდ და მარტოვად გავრცელდება სიკეთე-სპექტაკლი სოციალური თვითშეგნების თვალსაზრისით სამოქალაქო აქტივობის საუკეთესო გამოხატულებაა.წარ-მოდგენას სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა დგებუაძე და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სენაკში წმინდა ბარბარუს სახ-ელობის ახალი ტაძარი იკურთხა

სენაკის მუნიციპალიტეტს თეკლათის თემში ახალი, აგურით ნაგები წმინდა ბარბარუს სახელობის ბაზილიკური ეკლესია შეემატა. ცნობილია, რომ აქვე წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარი იქნა დაწარმული საბჭოთა პერიოდში და ამ უმშვენიერესი ტაძრის აგებობა ისტორიული სამართლიანობა აღდგა. ეკლესია აკურთხა და დიპლომა აღავლინა სენაკის, ჩხოროწყუსა და ავსტრალიის მიტრო-პოლიტმა შიომ (მუჯირი). თანამწირველები იყვნენ: ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი საბა (გიგობერია) და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა). ტაძრის კურთხევას ესწრებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგე-ბელი გონა დგებუაძე“

გამოსაუბრები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისთან და პარლამენტარებთან აპროტა ჯგუფის მიმართვაზე

აღნიშნული მიმართვა გამოქვეყნდა გაზეთ "ილოროში", 2015 წლის 10-17 მარტის №307-ში

ერის საბანძური

ყურადღებით გავეცანი გაზეთ "ილოროში", (2015 წლის 10-17 მარტის №307-ში) გამოქვეყნებულ მიმართვას საქართველოს ხელისუფლებისადმი. მიმართვის ავტორები მოითხოვენ მეგრულ-ლაზურ-სვანური ენების სკოლებში სწავლებას.

საშუალო სკოლებში ამ ენების სწავლების საკითხი არახალია. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და პურნალ "სკოლა და ცხოვრების" თანამშრომელთა ერთი ჯგუფი ამ პრობლემის შესახებ მსჯელობდა. სურდათ სკოლებში, თუნდაც ერთი წლის მანძილზე შესწავლილიყო ამ ენათა ზოგადი ბუნება, რათა მოსწავლეებს იმთავითვე სცოდნოდათ ქართველური ენების გენეზისი, ამ ენაზე მოლაპარაკე რასის განსახლების არეალი.

1772 წელს საქართველოში მყოფმა ცნობილმა გერმანელმა მოგზაურმა-მკვლევარმა გულდენშტედტმა შეადგინა ქართულის, მეგრულის, ჭანურის, სვანურის ლექსიკონი. "ამით პირველი ნაბიჯი იქნა გადადგმული ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურის შედარებითი შესწავლისათვის მასალების შესაგროვებლად", წერს სულმნათი ივანე ჯავახიშვილი (ივ. ჯავახიშვილი, "ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და მათი ნათესაობა", ტფილისი, 1937 წელი, გვ. 5).

პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწე ალ. ცაგარელმა 1872-1880 წლებში გამოაქვეყნა ნაშრომები რომლებიც მეგრულის ფონეტიკის მეცნიერული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს.

ალ. ცაგარელს მხარში ბევრი ამოუღვა და დაიწყო მეგრულის, ლაზურის, ჭანურის, სვანურის მეცნიერული შესწავლა, მაგრამ ეს საქმე, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის ბოროტი ძალისხმევით დროებით შეჩერდა.

1884 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა როზენის შრომა ლაზურ-ჭანური ენების შესახებ, ორი წლის შემდეგ კი მეგრული, სვანური და აბხაზური ენების შესახებ.

დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველური ენების შესწავლაში ევროპელ ორიენტალისტებსა და ენათმეცნიერებს ჰუმბოლდტს, მარი ბროსეს, კლაპროტს, უსლარს, ჰუგო შუხარდს...

ქართული ენათმეცნიერების მეორე ხანა დაიწყო ნიკო მარის მოღვაწეობით, რომელმაც ჭანური ენის გრამატიკა 1910 წელს გამოაქვეყნა. 1914 წელს კი მისმა მოწაფემ იოსებ ყიფშიძემ გამოაქვეყნა ნაშრომი "მეგრული გრამატიკა ქრესტომატიითა და ლექსიკონით".

ამ ნაშრომს დიდი ივანე ჯავახიშვილი შესანიშნავს უწოდებს. სამწუხაროდ, იოსებ ყიფშიძე ახალგაზრდა გარდაიცვალა.

მეგრული, ლაზური, ჭანური, სვანური ქართველი ერის სულიერი საგანძურია. მათი შესწავლა არც ქართველი და არც უცხოელი ენათმეცნიერებისათვის ახალი ხილი არ არის. ეს მდგომარეობა აადვილებს ამ ენათა სკოლებში სწავლების საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

ახალგაზრდას, რომელიც სკოლაში ამ ენებს ზოგადად შეისწავლის საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლასთან ერთად, გაუადვილდება ახლო აღმოსავლეთის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, სამხრეთ ევროპის და ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიებზე არსებული უძველესი ცივილიზაციების შესწავლა და კოლხურ სამყაროსთან მათი ურთიერთ გაგება-კავშირების მოძიება დადგენაც.

ენათმეცნიერები შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ ბასკური, პელაზგური, ეტრუსკული, მეგრული, ლაზური, სვანური ქართული მონათესავე ენებია და კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე იბერიულ-კავკასიური რასა ერთ ფუძე ენაზე მეტყველებდა.

აი, რატომ არის აუცილებელი უძველესი ენების ცოდნა, იმ ენების ცოდნა, რომლებიც ღმერთმა მოგვცა და რომლებსაც ვერავინ შეგვეცილება და არც არის გასაყოფელი.

თენგიზ კუპლაშვილი

ური მოდემის ხალხთა ერთ მუჭად შესაკრევლად.

ზაურ ბახარია,

მიქტორ ცაავა,

როლანდ ჯალაღანი,

კუპური შიში,

ბია კვაშილაშა,

ნუზარ კვაშილაშა,

სიმონ ზაძარია,

ბიზი ბვასალი,

ბიზი ხაზალი,

მირიან ჯალაღონი,

მურთაზ ჯანჯღავა,

ნინო ღებუაძე,

ბიზი არღია,

ნუზარ ბოგუა,

სერბო წურწურია,

მანანა შავბუღიაძე,

ბიზი სომხიშვილი,

ბორის ბოგია,

მაღონა ღუმბაძე,

თამაზ შირცხალაშა,

ციალა ბარბაქაძე,

თამაზ ლოგუანიძე,

მანანა ბურბენიძე,

ლიანა ნაროშვილი,

ბიორბი სიჭინავა,

ლონდა ჭელიძე,

ანა ბაილაშვილი,

ნანა დოლიძე,

დიმიტრი ძეგუბია,

კობა ღონინაძე



კოლხ-იბერიული ენის მზე არ უნდა ჩაუხვედეს

აშშ-ის სენატი სააკაშვილს საქართველოს პრეზიდენტად მიიჩნევს! საქართველოს რომ ხელისუფლება კვავდეს, ის აშშ-ის ელჩ ნორლანდს ბამოიძახებდა, საბარბო უწყება კი ნოტას გააბზავნიდა! –

2015 წლის 4 მარტს აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში გაიმართა მოსმენა თემაზე – „რუსეთის აგრესია აღმოსავლეთ ევროპაში: საით წავა პუტინი უკრაინის შემდეგ – მოდლოვაში თუ საქართველოში?“

მთავარი მომხსენებელი იყო „პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი“ (President Mikheil Saakashvili), რასაც მოწმობდა პატარა ტაბლო მის მავიდაზე და მოსმენის წამყვანი მისტერ ჯონსონი.

საკაშვილი იქ მარტო კი არა, არამედ როგორც „პრეზიდენტ“ შეეფერება, ადიუტანტ – საქართველოს დე-ფაქტო ელჩ თემურ იაკობაშვილთან ერთად გამოცხადდა, რომელმაც 2008 წელს, რეინტერპრეტაციის მინისტრობისას, სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების დამარეგულირებელ ერთობლივ საკონტროლო კომისიას („ეს-კა-კა“ – CKK) „კაკა“, ანუ „ყოველგვარ აზრს

მოკლებული ნეხვი“ უწოდა და ამით დააანონსა 08.08.08 ომი. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ ვინ იყო მისი თანმხლები ახალგაზრდა ქალი, აი გვერდით კი კასპაროვი ეჯდა, რომელსაც მიშასგან თავის ასტკივდა და რომლის ტაბლოზეც, ისევე როგორც მისტერ ჯონსონის და ყველა დანარჩენისა, მითითებული იყო მხოლოდ გვარი! და მარტო სააკაშვილის ტაბლოზე (რომელიც 8 წუთის განმავლობაში ერთსა და იმავეს ექვავდა პუტინისა და რუსეთის ზიანზე) იყო მითითებული სახელი – „მიხეილი“ და თანამდებობა „პრეზიდენტი“...

ამგვარად, აშშ-ის სენატში სააკაშვილი უწინდებურად საქართველოს პრეზიდენტად მიანიათ და მართლაც არიან! საქართველოს რომ ნამდვილად ჰყავდეს ხელისუფლება, აშშ-ის ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდს ჯერ კიდევ მეორე დღეს უნდა მიეცა ახსნა-განმარტება საგარეო

საქმეთა სამინისტროში, რომელსაც ელჩისთვის საპროტესტო ნოტა უნდა გადაეცა აშშ-ის სახდებისათვის.

მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს – უკლებლივ ყველა ხელისუფალი მოღალატე, გამყიდველი და კორუპციული ჩინოსანი აღმონდა, რომლებმაც ერთმანეთი დაჭამეს სააკაშვილის უწინდებურად მუშტად შეკრული „ნაციონალების“ გასახარად!

ამიტომ დღეს ბოლო სუსტი იმედი – ივანიშვილია, რომელმაც ეს ნაგავი ხელისუფლებაში მოათრია: ბიძინა გიორგის ძეგ, ისხენით საქართველო თქვენ მიერ დანიშნულებისგან, როგორც 2012 წელს გადაარჩინეთ თქვენს მიერ დაფინანსებულ სააკაშვილისგან! თქვენ ამას შეგვიპირდით! შეასრულეთ თუნდაც ეს ერთი თქვენი დანაპირები!

საძინეზორბი



კახა ცხადაძე: თამაშის სტრატეგიაზე ჩემი შეხედულებები განსხვავებულია...



კახა ცხადაძის პრესკონფერენციის მთავარი თემა საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა იყო...

თავდაპირველად, ცხადაძის სიაში 29 რჩეული იყო, თუმცა, მას მერე, რაც ნაკრების თავკაცი "ტორპედო"-სამტრედიის სათასო მატჩს დაესწრო...

მეკარეები: გიორგი ლორია ("ოფი", საბერძნეთი), ნუკრი რევიშვილი ("ტოსნო", რუსეთი)...

მცველები: უნა ლოპუნიძე ("ომონია", კვიპროსი), გურამ კაშია ("ვიტესი", პოლანდია)...

ნახევარმცველები: ნიკა ძალაძე ("იაგელონია", პოლონეთი), გიორგი ჭანტურია ("კლუბი", რუმინეთი)...

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე ("ემ-პოლი", იტალია), მათე ვაწაძე ("ორჰუსი", დანია)...

ამ 31 ფეხბურთელს ბევრი იხეი, ვისაც კახა ცხადაძის წინამორბედი საქართველოს ნაკრებში ბოლოს აღარ იწვევდა...

კიდევ უფრო ხანგრძლივი პაუზის მერე გამოიძახეს გიორგი მერეპაშვილი, კახა მახარაძე...

აი, რაც შეეხებათ ლაშა დვალს, ლაშა თოთაძესა და ნიკა საბანაძეს, ამ სამ ფეხბურთელს საქართველოს ნაკრებში ჯერ არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია...

პრესკონფერენციაზე პირდაპირ აერო-პორტიდან მოვიდვარ და ივინსამდე ასე, "პაერში გამოკიდებული" ყოფნა მომიწევს...

თბილისის "დინამოს" საშინაო მატჩს დავესწარი. ახლა ქუთაისში მივდივარ და მინდა, საქართველოს ჩემპიონატში მთავარი ფეხბურთელის შესადგენად...

...იმასაც ვისურვებდი, რომ რაც შეიძლება მაღალი დონის ლეგიონერები ჩამოგვეყვანა, რომელთა გვერდითაც გაიზრდებიან კიდევ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდები...

...მიმანია, რომ 20 წლის წინანდელი

გერმანიის ნაკრები, რომელსაც მაშინაც 29 მარტს ვეთამაშეთ თბილისში, არანაკლები სიძლიერის გუნდი იყო...

...პრემიებთან დაკავშირებით ასეთი დამოკიდებულება მაქვს - ბაქოს "ინტერში" ჩემ მისვლამდე ფეხბურთელები პრემიებს ყოველი თამაშის მერე იღებდნენ...

...ამ ეტაპზე, ნაკრებში 29 ფეხბურთელი გამოვიძახეთ, გერმანიისთან მატჩის წინ კი 23 ფეხბურთელი დარჩება...

...მატჩასთან თამაშში, რა თქმა უნდა, გენერალური რეპეტიცია იქნება ოფიციალური მატჩის წინ...

...საქრების სამწვრთნელი შტაბი თითქმის დაკომპლექტებულია: ერთ-ერთი თანაშემწე გია ცეცაძე იქნება...

ვგ კი არა, "გენკში" მთამაშე თორნიკე ოქრიაშვილს უთქვამს, პირველად მოხდა, როცა საქართველოს ნაკრების ექიმმა...

...ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, ჩვენს უპირველეს გუნდს გარკვეული პაუზის მერე რომ უბრუნდება...

...წელანაც ვთქვი, რომ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში არაერთი პერსპექტიული ჭაბუკა და ამისთვის მათ მწვრთნელებს მაღალია ეკუთვნით...

...დღესდღეობით, ჩემთვის უმთავრესი ამოცანა ჩვენი ნაკრების თამაშის "დალაგება" არც იმას უარყოფ, რომ ჩემი შეხედულებები თამაშის სტრატეგიასთან...

მე ყველა მათგანის მჯერა, თუმცა, როცა მათ ვესაუბრე, ზოგიერთს პესიმისტური განწყობა შეგამჩნიე და ამის გამო, ცოტა არ იყოს, უხეშად მიემართე...

...დღევანდელი ფეხბურთელი ფსიქოლოგიურ მომზადებაზე მე ვიზრუნებ, თანაც, მჯერა ამ ბიჭების და ვიცი, რომ ისინი მაქსიმალურად მონდომებენ...

...დღევანდელი ფეხბურთელი ფსიქოლოგიურ მომზადებაზე მე ვიზრუნებ, თანაც, მჯერა ამ ბიჭების და ვიცი, რომ ისინი მაქსიმალურად მონდომებენ...

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნის "ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბლია)...

სახალხო მოძრაობა "სამამბრელო" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველისკოს წიგნი "კამპანია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში...

იხილოთ - მესამე მსოფლიო ომის შემდეგ გადარჩნენ მხოლოდ ერთი კაცი და ერთი ქალი. მიდიან გზაზე. მოშივდათ. საჭმელი არაფერია. ქალს ერთი ვაშლი ჰქონია გადანახული...

სახალხო მკურნალობა მოუპოო მიი ჯარ კიდე მკლავი ნაყოფიერი ფარმაცოლოგიის, რომელიც მის დაძირვას სწავლობდა და კვლავ ჩაღვა სალხის ჯანმრთელობის სამსახურში...